პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 199 (19842) ◆ პარასკევი, 30 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## ბრიგადები მსუბუქ ინდუსტრიაში

სულ უფრო მტკიცე პოზიციებს იკავებენ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმები. ისინი ხელს უწყობენ დროის, შრომითი და მატერიალური რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას. საიჯარო კოლექტივებში უფრო მტკიცეა დისციპლინა, მეტია ხელფასი, უფრო სწრაფად ეუფლებიან ოსტატობას ახალგაზრდა მუშები.

ძალას იკრებს ბრიგადული იჯარა მსუბუქი ინდუსტრიის ფაბრიკებსა და ქარხნებში. დღეს დარგში მოქმედებს თითქმის 99 ათასი ახალი ტიპის ბრიგადა — გასულ წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 12 ათას კოლექტივს. მთელ რიგ საწარმოებში შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმა დიდი ხანია დამკვიდრდა და მას კარგი შედეგები მოაქვს. მათ შორის არის კუპავინის წმინდა მატყლის ფაბრიკა, პიარნუს ხელის კომბინატი, ივანოვოს მელანჟის კომბინატი და მრავალი სხვა. აქ კოლექტიური ფორმების მეოხებით გაზარდეს საქონლის გამოშვება, გააუმჯობესეს მათი ხარისხი. ივანოველი ფეიქრები, მაგალითად, კარგად მოემზადნენ იჯარის დანერგვისათვის. ისინი მოქმედებდნენ კომბინატის დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმით. მის შესრულებას ნიადაგ აკონტროლებდნენ. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიამ განაზოგადა წამოყენებული წინადადებანი და შეადგინა შრომის ბრიგადული ორგანიზაციის სრულყოფის პროგრამა.

როგორც წესი, დიდი საქმის ენთუზიასტები წარმატებით ახორციელებენ წარმოების საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსს, იცვლება ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობა, აქტიურად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ამასთან ინიციატორები მხედველობიდან არ უშვებენ სასიკეთო საწარმოო გარემოს შექმნას. საწარმოებში აუმჯობესებენ სამუშაო ადგილების განათებას, ვენტილაციას, ამცირებენ დაგაზიანებასა და დამტვერიანებას, ხმაურს და ვიბრაციას.

უეჭველია შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების ეფექტიანობა. თვით ცხოვრება დარგების ინტენსიური განვითარების ახლანდელი კურსი ფართო გასაქანს მოითხოვს მკაცრი სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე კოლექტიური

...

მედეგების გაუმჯობესება — აი მთავარი ამოცანა, რომელსაც აღწევენ ბრიგადებში შრომის ანაზღაურების ზუსტად მოფიქრებული, სამართლიანი სისტემით. აქ არ უნდა დავუშვათ გათანაბრება, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის ფორმალური გამოყენება.

უდიდესი ამოცანებია დასახული „ყველასათვის განკუთვნილი ინდუსტრიის“ მშრომელების წინაშე. მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა მტკიცედ გადავიდეთ მეურნეობრიობის ინტენსიურ გზაზე. პარტიული, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების განვითარებას. მათ მკაცრად უნდა მოჰკითხონ იმათ, ვინც მნიშვნელოვან საქმეს ფორმალურად ეკიდება. დარგში შრომის ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველზე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულება ღირსეული შრომითი საჩუქარი იქნება სკკპ XXVII ყრილობისათვის.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლისა და მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შემუშავების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის შედეგები. პოლიტბიურომ მოიწონა ამ თათბირის გადაწყვეტილებანი და აღნიშნა, რომ ისინი უნდა განხორციელდეს 1986 წლის — მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ჩამოყალიბებისათვის შემდგომი მუშაობის დროს. ეს წელი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ შემუ-

...იქონიონ მხედველობაში საგაისო გეგმების პროექტების შემუშავების მიმდინარეობა, უზრუნველყონ ის, რომ მათი მაჩვენებლები შეესაბამებოდეს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

პოლიტბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა 1985 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულება, რაც საფუძველს შეუქმნის წარმატებულ მუშაობას ახალი ხუთწლედის პირველ წელს, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულ შეხვედრას.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

...დინარე მუშაობის საკითხი და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, რომელიც რესპუბლიკაში შეძენილია მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების, ახალი კონსტრუქციული მასალების, დეფიციტური ნედლეულის შემცვლელების დანერგვის, წარმოებაში მეორეული რესურსების მოქცევისათვის ტექნოლოგიური სისტემებისა და კომპლექსების გამოყენების დარგში. დასახულია ამ გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით რესურსების რაციონალური გამოყენების რამდენიმე დამატებითი ღონისძიება.

პოლიტბიურომ მოიწონა ქალაქ...

## მეგობრული შეხვედრა

სურათზე: შეხვედრის დროს. საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

29 აგვისტოს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. ბატმუნხს, რომელიც საბჭოთა კავშირში ისვენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

...მუნისტური პარტია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო დანერგვის, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საფუძველზე წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

ჟ. ბატმუნხმა ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებსაც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია ახორციელებს საზო-...

...დგომი გაღრმავებისა და გაძლიერების თანამიმდევრული კურსი, რომელსაც ადგანან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, და რომელიც შეესაბამება მოძმე ხალხების ძირეულ ეროვნულ და ინტერნაციონალურ ინტერესებს. აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის უფრო მჭიდრო და ორგანული ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფას ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო...

...შესახებ, რომ ცალმხრივი წესით შემოიღო ბირთვული იარაღის ყველანაირი გამოცდის მორატორიუმი.

მ. ს. გორბაჩოვმა და ჟ. ბატმუნხმა დიდი ყურადღება დაუთმეს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებულ ვითარებას. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ აზიაში ვითარების გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს კონტინენტზე აზიის სახელმწიფოების ერთობლივი მეცადინეობით მშვიდობის განმტკიცების გზების შესახებ საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ცნობილი წინადადებების რეალიზაცია.

როგორც ხაზი გაუსვეს საუბრის დროს, სავსებით აქტუალურია ისტორიული გაკვეთილები მეორე მსოფლიო ომისა, რომელიც 40 წლის წინათ დამთავრდა გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის კრახით. ეს გაკვეთილები მოწმობს, რომ ომ-...

## გამოიცა მასობრივი ტირაჟით

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოსცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენება „პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული საკითხი“.

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს თბილისის წისქვილ-ქარხნის კოლექტივმა 26 ივლისისათვის შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა. ქარხანა წლის ბოლომდე დარჩენილ დროში მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში გამოუშვებს 38700 ტონა პურის ხარისხოვან ფქვილს, გეგმის გადამეტებით რეალიზებული იქნება მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო მოგება გაიზრდება 620 ათასი მანეთით.

ხუთწლედის გეგმის გადამეტებით დაფასოვდება 2.800 ტონა პირველი ხარისხის ფქვილი, რაც ხუთწლედის დავალებას ბევრად სჭარბობს, ასევე გადამეტებით სრულდება ფქვილის კონტეინერებითა და უტაროდ შეზიდვის გეგმები. აღსანიშნავია, რომ წისქვილ-ქარხნის მიერ გამოშვებული პირველი და მეორე ხარისხის ფქვილი ყოველთვის მოსწონთ როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. აქ მეთერთმეტე ხუთწლედში პროდუქციის ხარისხზე არავითარი რეკლამაცია არ მიუღიათ.

## მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში

წისქვილ-ქარხნის კოლექტივმა, გაითვალისწინა რა ქ. თბილი-...

## საკვებმომპოვებელთა მწვანე ალოობა

ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის თითოეული მშრომელის მთავარი საზრუნავია ახლა ზამთრისათვის საკვების დამზადება.

საკვების დასამზადებლად თავმოყრილია მთელი ტექნიკა იქ, სადაც ამას მოითხოვს რელიეფის პირობები, მოქმედებს მოტოსათიბელები.

მეურნეობის მშრომელები, რომლებიც საქმიანად უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, ცდილობენ უზრუნველყონ პირუტყვის მაღლარხსი გამოზამთრება.

სურათებზე: მოწინავე მთიბავი ინალ ცხოვრებოვი; თიბვა ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში;

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## და კვლავ თესვა

...ლაქის, წალკისა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელებმა დაიწყეს მარცვლოვანი თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვა. მიწათმოქმედებმა საუკეთესო აგროვადებში მოამზადეს ნიადაგი, შეიტანეს სასუქები, უზრუნველყვეს თესლის კარგი კონდიცია. ორგანიზებულად გავიდა მინდვრად ...ვი სარემონტო ბრიგადები. თესვის კამპანიის მიმდინარეობას აკონტროლებენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების აგრონომიული სამსახურები.

ამჟამად რესპუბლიკის საშემოდგომო ნაკვეთის ფართობი 152 ათას ჰექტარს შეადგენს. (საქინფორმი).

## საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა 29 აგვისტოს მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფება. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ქ. მორავსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. კუბიაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საბინაო მშენებლობის კომბინატ „ვარშავა-აღმოსავლეთის“ ბრიგადირი ა. სივაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, „სემიანოვიცეს“ შახტის ბრიგადირი ე. რომანიკი.

ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებენ თვალს პოლონელი ხალხის წარმატებებს. მოხარული ვართ, თქვა მან, რომ წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და ურთიერთგაგება, ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ძმური ურთიერთობა, იზრდება საქონელბრუნვა, კულტურული გაცვლა. ეს ამდიდრებს ჩვენს ურთიერთობას, ემსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

პოლონეთის დელეგაციის წევრებმა გულითადი მადლობა გადაიხადეს შინაარსიანი და გულახდილი საუბრისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ საინტერესო...

## სსრ კავშირიდან გამგზავრა

## პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

# გარდატეხა

ისინი ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ და კრების დაწყების მოლოდინში ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს.

— გუშინდელივით მახსოვს, ამ ბახვისწყლის სანაპიროებზე კაცი ვერ გადიოდა, ჭაობში ეფლობოდა ყელამდე, — თქვა კომუნისტმა ზაქრო დოლიძემ, — ახლა კი ჩვენი უბნის ცენტრი ერთი პატარა ქალაქისას არ ჩამოუვარდება.

— მართალსა ბრძანებთ, — დაუდასტურა მოწინავე კოლმეურნემ დიმიტრი ახალაძემ, — ხომ გახსოვთ, მშვიდობაურში ქალს არ გაათხოვებდნენ — სადა მყავს მაგ სატურიას ტყეში დასაკარგავი შვილიო. ახლა, იცოცხლე, ბევრ საპატარძლოს უჭირავს თვალი ამ სოფელზე — ბევრით აღარ განსხვავდება ჩვენი აღორძინებული კუთხე ქალაქისაგან. ჟგროუბნის ახალი კლუბი 250 კაცს იტევს, აქვეა ბიბლიოთეკა, ახალი სკოლა, ასეთი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ჩაის მიკროფაბრიკა რესპუბლიკაში პირველად ჩვენთან გაიხსნა. ამ ფაბრიკაში ბევრმა ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა, კულტურული დასვენების კერები გამრავლდა, მალე სპორტული კომპლექსის მშენებლობაც დამთავრდება. ბოლო მოეღო მიგრაციას, ახლა პირიქით — სოფელს დაუბრუნდა ბევრი ახალგაზრდა, ახალი ოჯახები შექმნეს და ამიტომაც არის, რომ ჩვენი კოლმეურნეობა, კერძოდ, ჩვენი ბრიგადა აღორძინებული და ერთ-ერთი თითით საჩვენებელია არათუ რაიონში, მთელ რესპუბლიკაშიც.

მალე კომუნისტები დარბაზში მიიწვიეს სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის № 11 ბრიგადის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მოწინავე მერგოლური და მეჩაიე ნათელა დოლიძე შინაარსიანი მოხსენებით წარსდგა პარტიული კრების წინაშე. სწორედ ამან განაპირობა კამათის ცოცხალი, საქმიანი ხასიათი.

ბრიგადაში 15 კომუნისტია, რომლებიც აქტიურად იბრძვიან დოვლათის შესაქმნელად. ბევრი მათგანი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ბრიგადამ ვადამდე შეასრულა ჩაის დარგში მეთერთმეტე ხუთწლედის ყველა დავალება, ახლა დღენიადაგ იღვწიან, რათა მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში მიმდინარე სეზონში სულ ცოტა 300 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული მოკრიფონ.

კომუნისტებმა პირუთვნელად და მთელი პირდაპირობით ილაპარაკეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის მთელ რიგ საყურადღებო საკითხებზე, მოდით, მოვუსმინოთ მათ:

**აკაკი ახალაძე, ბრიგადირი:** წლების მანძილზე მერგოლურად ვმუშაობდი, ხოლო ამ 6 წლის წინათ ბრიგადირად დამაწინაურეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ კაცი მოინდომებს, გაუკეთებელი არა დარჩება რა. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ პირველ წლებში სერიოზული ბრძოლა დაგვჭირდა უდისციპლინოებთან, რომლებიც კოლმეურნის ყველა სიკეთით სარგებლობდნენ, მაგრამ ცუდად, ან სულ არ მუშაობდნენ, გაურბოდნენ საკოლმეურნეო საქმიანობას. წარსულს ჩაბარდა ეს დიდი ხარვეზი, ახლა ბრიგადაში, სანთლით რომ ეძებო, ერთ უქნარასაც ვერ აღმოაჩენს კაცი. ბრიგადის თითოეული შრომისუნარიანი წევრის საშუალო წლიური შრომითი დატვირთვა 200 კაცდღეს სჭარბობს. ეს ციფრი რეკორდულია არა მარტო კოლმეურნეობაში, არამედ რაიონის მასშტაბითაც. ბრიგადის ფულადი შემოსავალი 400 ათას მანეთზე მეტია. ამ წარმატებებს შრომის დისციპლინის განმტკიცების მეოხებით ვაღწევთ, ბრიგადაში ლოთობა აღკვეთილია, ახლა ვემზადებით იმისათვის, რომ ახალი წლიდან ჩავდგეთ უგანრიგო ბრიგადების რიგში.

**ციური ახალაძე, მოწინავე მეჩაიე:** ამ გამოსვლაში მინდა საკუთარი თავიც გავაკრიტიკო, რადგან ვერ იქნა და ვერ მოვუღეთ ბოლო იმას, როცა დროზე არ ვკრეფთ შემოსულ ფოთოლს. იერიშობანას წესით მოელეტილი ნედლეულიდან განა გამოვა კარგი პროდუქცია?! ჩაის ფაბრიკა ხომ ჩვენი მშობლიური საწარმოა, რატომ უნდა მივაყენოთ ზიანი უხარისხო ნედლეულით?! ამიერიდან ჩვენი ბრიგადის მეჩაიეებს გადაწყვეტილი გვაქვს მხარი ავუბათ საქვეყნოდ ცნობილი მეჩაიის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ჟუჟუნიას მოწოდებას — დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება!

**ნაზი გურგენიძე, ლენინის ორდენოსანი მეჩაიე:** დედაჩემმა, სოციალისტური შრომის გმირმა ქეთო წიტაიშვილმა ბავშვობიდანვე მაზიარა ფოთლის უხვი მოსავლის მიღების მეთოდებსა და ხერხებს, ყოველწლიურად ჩაის რეკორდულ მოსავალს ვიღებ, მაგრამ მარტო ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღება როდი ნიშნავს ყველაფერს — ამასთან ერთად თავიდათავი მშვიდი, ხალისიანი ცხოვრება გახლავთ. დიახ, დამახინჯებულმა ქორწილებმა და წრეგადასულმა ქელეხებმა თავი მოგვაბეზრეს. მეტად დროული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ლოთობის ასალაგმავად. ყველამ ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი ამ ბრძნულ ღონისძიებას, ახლა ჩვენს ბრიგადაში აღარ არიან ლოთები და უქნარები. ეს დიდი გარდატეხა ხელს შეგვიწყობს შემდგომ წინსვლაში.

პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ო. თენეიშვილი თავის გამოსვლაში შეეხო ბრიგადაში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებისათვის საჭირო სადღეისო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საკითხებს.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სასურსათო პროგრამა მოქმედებს

## თელავური კონსერვები

**დიდი მოთხოვნაა თელავის საკონსერვო ქარხნის პროდუქციაზე. წელს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და ინგლისში, კანადაში, ავსტრალიაში, რუმინეთში, პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან გაიგზავნება ათასობით ქილა კაკლის მურაბა და ატმის ჯემი. სულ კი 1985 წლის სეზონში თელაველი მეკონსერვეები 30 დასახელების 9 მილიონ პირობით ქილა პროდუქციას გამოუშვებენ. ეს არის კომპოტები, ჯემები, წვენები, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვები.**

**სურათებზე: მოწინავე მუშა მანანა იმერლიშვილი უჩვენებს საექსპორტო პროდუქციას; თელავის საკონსერვო ქარხნის მთავარი ხაზი, რომელზეც მზადდება კომპოტები და მურაბა.**

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დეპუტატი წარმოებაში

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში დეპუტატთა საწარმოო ჯგუფში გაერთიანებული ჩვიდმეტი ხალხის რჩეულიდან თითოეულმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის პირადი საგეგმო დავალებანი. მათ მაქსიმალურად შეამჭიდროვეს სამუშაო გრაფიკი, დაეუფლნენ მომიჯნავე პროფესიებს და აღწევენ სარეკორდო შრომის ნაყოფიერებას, ჩინებულ მაგალითს აძლევენ ამხანაგებს.

დეპუტატთა ჯგუფის თვალსაწიერშია სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხები. მაგალითად, ამ ჯგუფის მოთხოვნით საწარმოს ადმინისტრაციამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა წლევანდელი ზაფხულის დადგომამდე რეკონსტრუქცია გაუკეთეს და კეთილმოაწყვეს სოხუმის, ჯავის, კოჯრის საუწყებო ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკები. ამის შედეგად ჯანმრთელობა გაიკაჟა და დაისვენა ავიამშენებელთა ათასზე მეტმა ბავშვმა.

ხალხის რჩეულთა საქმიანობის ეფექტიანობის შემდგომი გაზრდის, შრომითი კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარეზე მათი გავლენის გაძლიერების საკითხები წამოიჭრა ქარხანაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან პ. გ. გილაშვილთან დეპუტატთა საწარმოო ჯგუფის შეხვედრაზე.

საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა საფეხურის დეპუტატები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქარხნის კოლექტივი თავდადებული შრომის მეოხებით წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, გულმოდგინედ ეძიებს შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდის, ასორტიმენტის გაფართოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების რეზერვებს. ამასთან დაკავშირებით გამოსულმა დეპუტატთა საწარმოო ჯგუფის ხელმძღვანელმა, კომპლექსური ბრიგადის თავკაცმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ვ. კუბლაშვილმა, წარჩინებულმა ხარატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ტ. ვ. როსტიაშვილმა, მოწინავე ზეინკალმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატმა შ. შ. ლოხიშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა კვლავაც კონკრეტულად, საქმიანად ჩასწვდნენ ქარხნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტას, კიდევ უფრო გაბედულად აამოქმედონ ყველა არსებული ორგანიზაციული და სოციალური რეზერვი, გააქტიურონ ადამიანის ფაქტორი.

შეხვედრაზე გამოსულმა ამხ. პ. გ. გილაშვილმა შეკრებილთა ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უნარიანად უხმობდნენ კანონის მიერ დეპუტატისათვის მინიჭებულ უფლებებსა და უფლებამოსილებას თავისი ამხანაგების, ამომრჩევლების წინაშე მათ მაღალ პასუხისმგებლობას. დეპუტატთა ჯგუფი მნიშვნელოვანი ქმედითი ფორმირებაა, რომელსაც მინიჭებული აქვს კოორდინაციისა და კონტროლის ფართო უფლებები. ამიტომ შემდგომშიც უფრო შედეგიანად, ეფექტიანად უნდა ვიმოქმედოთ.

ავიამშენებლების დეპუტატთა საწარმოო ჯგუფის საქმიანობის გამოცდილება განზრახულია შეისწავლონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე.

(საქინფორმი).

*უმაღლესი სკოლის საზრუნავი*

# ახალგაზრდა ტექნიკური ინტელიგენცია

### რა პრობლემებია მაღალკვალიფიციურ ინჟინერთა კადრების მომზადებაში?

**მეცნიერულ-ტექნიკური** პროგრესის დაჩქარების კურსის განხორციელება დღის წესრიგში აყენებს საინჟინრო-ტექნიკური განათლების ხარისხობრივი და თვისებრივი გაუმჯობესების გზების რეალურ ძიებას წარმოების მოწინავე დარგებში უკვე მომხდარი ტექნოლოგიური ძვრებისა და გარდაქმნების გათვალისწინებით.

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა რეალური ნაბიჯები. ამ მხრივ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საკმაოდ გამიზნული და გეგმაზომიერი მუშაობა დაიწყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის 26 ფაკულტეტზე და ფილიალში 30 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. სასწავლო-აღმზრდელობითსა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში 3 200-ზე მეტი სპეციალისტია ჩაბმული, მათ შორის 19 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი, 110-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 900-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი და 200-მდე ასპირანტი.

უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუტმა კურსი აიღო სწავლებაში გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ დანერგვისაკენ, ურომლისოდაც პრაქტიკულად შეუძლებელია ინჟინერთა კადრების მომზადების თვისებრივად ახალ საფუძველზე გადაყვანა. ამჟამად ინსტიტუტს აქვს 62 ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა, მრავალი სადისპლეო კლასი, რომლებიც ინსტიტუტის თითქმის ყველა კათედრას ემსახურება. უკვე მეორე წელია, ფუნქციონირებს კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი, სადაც რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლები იმაღლებენ კვალიფიკაციას ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების, რობოტტექნიკის, მიკროპროცესორების ტექნოლოგიის და ავტომატური დაპროექტების სისტემების დარგში. პერსპექტიული გეგმის მიხედვით ორ წელიწადში ინსტიტუტის ყველა პროფესორ-მასწავლებელი აიმაღლებს კვალიფიკაციას ამ სპეციალობებში. სასწავლო ნაწილთან შექმნილია გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა სასწავლო პროცესში გამოყენების მეთოდიკის ლაბორატორია, უკვე რამდენიმე წელია ნაყოფიერად მუშაობენ მსხვილ საწარმოო გაერთიანებებში შექმნილი სპეციალიზებული კათედრების ფილიალები.

კათედრის ფილიალი უმაღლესი სკოლისა და წარმოების კოოპერაციის და თანამშრომლობის შედარებით ახალი ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა მიზნობრივ სწავლებას. მომავალი სპეციალისტებისათვის აუცილებელია იმ ტექნოლოგიური სიახლეების უშუალოდ გაცნობა, რომლებიც სასწავლო გეგმებში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ჯერჯერობით არ არის შეტანილი. კარგად ორგანიზებულ კათედრის ფილიალში ამ სიახლეების გაცნობა თეორიული კურსის გავლისას მეტად სასარგებლო შედეგს იძლევა.

ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნიადაგ ზრუნავენ სასწავლო პროცესის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ჩვენთან ბევრი სიახლე დაინერგა. ყოველწლიურად იზრდება და დღეს უკვე ინსტიტუტის განკარგულებაშია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი 50-მდე სპეციალიზებული აუდიტორია-კაბინეტი.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოქნილი საწარმოო სისტემებისა და რობოტების გამოყენება, წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია მთავარ ამოცანად აყენებს წარმოების ავტომატიზებული დაპროექტების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური მომზადების სისტემების დანერგვას. სწორედ ამის გათვალისწინებით გაიხსნა ახალი კათედრები, დაიწყო სპეციალისტების მომზადება ახალი სპეციალობებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საწყისი ეტაპი უმაღლეს სკოლაში მძლავრი მეცნიერული პოტენციალის ბაზაზე უნდა ხორციელდებოდეს და მასში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს სტუდენტი ახალგაზრდობა. ბოლო წლებში განსაკუთრებით საგრძნობია ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, რაც აისახება სასწავლო პროცესში. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ინსტიტუტმა მეტად შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. **მკვეთრად გაუმჯობესდა სტუდენტთა მონაწილეობა შემოქმედებითს მეცნიერულ მუშაობაში, რაც თვალსაჩინოდ გამოჩნდა სტუდენტთა ნაშრომების საკავშირო კონკურსებზე, სადაც ყოველწლიურად ჩვენი 300-400 სტუდენტი მონაწილეობს. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიპოვეს კონკურსის 25 უმაღლესი ჯილდო — საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროს მედალი, 78-საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოს საპატიო დიპლომი. სტუდენტები დაჯილდოვდნენ 5 ათას მანეთზე მეტი ფულადი პრემიით, მიიღეს 300-ზე მეტი სხვადასხვა სიგელი და დიპლომი. ასეთი მნიშვნელოვანი შედეგებისათვის უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ მიუღწევია. მესამე წელია ზედიზედ ამ შედეგებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში.** ინსტიტუტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა უმაღლესი შეფასება და ლაურეატის წოდება დაიმსახურა ქ. ბრატისლავაში გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების საერთაშორისო კონკურსზეც.

ბოლო წლებში ინსტიტუტი ყოველწლიურად ასრულებს ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტებისა და საწარმოების უზრუნველყოფას ახალგაზრდა ინჟინერთა კადრებით.

ჩვენი უპირველესი საზრუნავია სახალხო მეურნეობის მოწინავე და სწრაფად მზარდი დარგებისათვის სპეციალისტების მომზადების ხარისხობრივი გაუმჯობესება. ეს ამოცანა რომ გადაწყვიტოს, უმაღლესი სკოლა დროულად უნდა რეაგირებდეს წარმოების ყველა მოთხოვნაზე. მაგრამ ამის პრაქტიკული რეალიზაცია ყოველთვის არ ხერხდება, რადგან იგი ბევრ უწყებრივ ბარიერთან არის დაკავშირებული. ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სპეციალობათა რაოდენობრივი ზრდა არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან სათანადო სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ბაზის შექმნა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. ჩვენი აზრით, საჭიროა **საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და მისი მასშტაბების მქონე უმაღლეს სასწავლებლებს ჰქონდეთ სასწავლო პროცესის მოქნილი და უფრო ოპერატიული მართვის უფლება, კერძოდ იმის უფლება, რომ საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად შემოიღონ ახალი დისციპლინები, უფრო რაციონალურად, ვიდრე ეს დამტკიცებულ სტანდარტულ სასწავლო გეგმებშია, დაგეგმონ სასწავლო პროცესი, დაამკვიდრონ სწავლების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციული ფორმები და სხვა.**

მაღალკვალიფიციურ ინჟინერთა კადრების მომზადების ძირითადი საფუძველი ყოველთვის იყო და არის ლექციის, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების მაღალი დონე. შეუძლებელია სპეციალისტთა მომზადების საქმე მივანდოთ მასწავლებელს, რომლის პედაგოგიური და პროფესიული კვალიფიკაცია, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ეჭვს იწვევს. არადა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთანაც და სხვა უმაღლეს სკოლებშიც საკმაოზე მეტი არიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც კარგად არ იცნობენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, არა აქვთ სათანადო პედაგოგიური გამოცდილება, ცოტას მუშაობენ საკუთარ თავზე.

რა არის ამის მიზეზი?

უპირველესად ის, რომ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს საშუალება ოპტიმალურად დაგეგმოს, თუ რამდენი პროფესორ-მასწავლებელი სჭირდება სასწავლო მუშაობისათვის. პედაგოგთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებელში იგეგმება სტუდენტთა კონტინგენტის შესაბამისად, მათი რეალური მოთხოვნილება კი განისაზღვრება იმ საგნების მოცულობით, ცალკეულ დისციპლინებში სასწავლო გეგმის შესაბამისად რომ იკითხება.

ეს სერიოზულ სიძნელეებს ქმნის. კათედრებზე პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა საკმარისი არ არის. პედაგოგს ძალიან დიდი — 860-900 საათი დატვირთვა აქვს, რაც, ცხადია, გავლენას ახდენს მისი მუშაობის ნაყოფიერებაზეც. ან როგორღა უნდა აიმაღლოს კვალიფიკაცია ესოდენ მოუცლელმა პედაგოგმა? ამის მიზეზიც არის, რომ პედაგოგთა შორის სამეცნიერო ხარისხი და წოდება აქვს მხოლოდ 45 პროცენტს.

საინჟინრო-ტექნიკური განათლების სრულყოფა უცილობლად გულისხმობს უმაღლესი სასწავლებლისა და წარმოების კავშირის შემდგომ განმტკიცებას. მომავალი ინჟინერი დაწყებითი კურსებიდანვე უნდა ეზიაროს წარმოებას, მეტი დრო დაუთმოს მისი სპეციფიკის გაცნობას. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე სრულყოფილი სასწავლო ლაბორატორია, ვიდრე საწარმოს საამქრო და სამრეწველო უბანია? ამ მხრივ ჩვენი ინსტიტუტის ინიციატივა, ალბათ, მისაბაძი უნდა გახდეს სხვა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის. წარმოებასთან თანამეგობრობის საფუძველზე ჩვენს მსხვილ საწარმოებში — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ გაერთიანებაში, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში შევქმენით სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო უბნები, სადაც სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ საწარმოს მუშაობაში, აქვე ადგენენ რეალურ საკურსო და სადიპლომო გეგმარებს, იძენენ წარმოებაში მეცნიერული კვლევის ჩვევებს. საკმარისია აღინიშნოს, **რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმოების მუშაობაში უშუალოდ ჩაბმულმა სტუდენტებმა მიიღეს 40-ზე მეტი საავტორო მოწმობა.** მაგრამ ამასთან ერთად სასწავლო გეგმების განსაკუთრებული გადატვირთვა, საწარმოებში სტუდენტთა აუცილებელი მუშაობის გაუთვალისწინებლობა საკმაო სიძნელეებს ქმნის. ამას ისიც ემატება, რომ ზოგჯერ ზაფხულში სტუდენტთა სხვადასხვა სამუშაოებში ჩაბმით იზღუდება საწარმოო და წინასადიპლომო პრაქტიკის ვადები. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ სტუდენტთა პრაქტიკა შრომითს სემესტრში მონაწილეობით იცვლება.

დღეს სრულიად შეუძლებელია მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დადგეს ახალგაზრდა, თუ მან სრულყოფილად არ გაიარა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა და არ შეიძინა წარმოებაში მუშაობის პრაქტიკული ჩვევები. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ უფლება ცალკეული სპეციალობების სპეციფიკურობის გათვალისწინებით თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი ისეთნაირად, რომ სტუდენტის დროის ბიუჯეტი (როგორც სააუდიტორიო და აუდიტორიის გარეშე მუშაობის, ასევე წარმოებაში მუშაობის) რაციონალურად და მიზანდასახულად იყოს გამოყენებული.

განსაკუთრებით ყურადსაღებია პროფესიულ-საორიენტაციო მუშაობის, სტუდენტთა კონტინგენტის შერჩევის და მისი ხარისხობრივი შეფასების საკითხი.

უმაღლეს სასწავლებელში, მით უმეტეს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში პროფესიის შერჩევაში შემთხვევითობა დაუშვებელია! ამიტომ საშუალო სკოლაში პროფორიენტაციული მუშაობა ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი უნდა გახდეს იმ კომპლექსური მუშაობისა, სპეციალისტის მომზადებას რომ გულისხმობს. ეს მუშაობა საშუალო სკოლის გამოსაშვებ კლასებში კი არა, 2-3 წლით ადრე უნდა დაიწყოს. ჩვენს ინსტიტუტს ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება აქვს, მაგრამ ამ მიმართულებით გასაკეთებელი ჯერაც ბევრია.

უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია სტუდენტთა კონტინგენტის ვარგისიანობის განსაზღვრა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი დღეს, როდესაც დიპლომიანი სპეციალისტი ძალიან ხანმოკლე საწარმოო ადაპტაციის გავლის შემდეგ უშუალოდ უნდა ჩაებას წარმოების ძირეულ მუშაობაში და თვითონ გახდეს სრულყოფილი საწარმოო ძალა. დასამალი არ არის, რომ თანამედროვე მომზადების ინჟინერთა კადრები მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც წარმოება უმაღლეს ტექნიკურ სკოლას უყენებს. რა არის ამის მიზეზი?

ჩვენი ღრმა რწმენით, ამის მიზეზი თვით სტუდენტთა ერთი ნაწილის ინდიფერენტიზმში, გულგრილობასა და ინერტულობაში უნდა ვეძებოთ. ამ სტუდენტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მომავალ პროფესიაზე, არ ცდილობენ სისტემატური ცოდნის შეძენას, არ ინტერესდებიან თავიანთი სპეციალობის პრობლემებით. ასეთი სტუდენტების (მათ ზოგჯერ „წმინდა სამოსნებს“ უწოდებენ) სიჭარბის მიზეზი თვით უმაღლესი განათლების სისტემის არასრულყოფილებითაც აიხსნება. **პრინციპი — ჩარიცხე? — ასწავლე კიდეც! — ყოველთვის როდია გამართლებული. რატომღაც ზარმაცი და უქნარა სტუდენტების გარიცხვა უმაღლესი სასწავლებლის სახელის გამტეხ გარემოებად ითვლება. სწორედ ამიტომ არის, რომ ასეთ ვაი-სტუდენტს მიათრევს აკადემიური ჯგუფი, დეკანატი, ინსტიტუტი. რის ვაი-ვაგლახით იცავს იგი დიპლომს და შემდეგ იმავე იურიდიული და მორალური უფლებებით სარგებლობს, რომლებითაც შრომისმოყვარე, ენერგიული და მცოდნე კურსდამთავრებული.**

ეს პრობლემა უმაღლესი სკოლის მომავალი რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი სამსჯელო საკითხი უნდა გახდეს. განა უმჯობესი არ არის, სტუდენტთა კარგი კონტინგენტის შერჩევა თვით სასწავლო პროცესის დასაწყის ეტაპზე მოხდეს? ეს ხომ გაცილებით უფრო სრულყოფილად შეიძლება განხორციელდეს, ვიდრე მისაღებ გამოცდებზე! ცხადია, ეს არ ნიშნავს მისაღები გამოცდების როლის დაკნინებას, მაგრამ ინსტიტუტს უნდა შეეძლოს პირველსავე კურსზე გაცხრილოს კონტინგენტი.

როცა სტუდენტის — მომავალი სპეციალისტის წარმოებაში მუშაობაზე ვლაპარაკობთ, ერთი გარემოებაც უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. სტუდენტის მომავალი პროფესიით დაინტერესება მხოლოდ ენთუზიაზმისა და საზოგადოებისადმი მოვალეობის გრძნობით ვერ შემოიფარგლება. მატერიალური დაინტერესება ჯერჯერობით არის და იქნება სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის არსებითი პირობა. აი, აქ მართებთ ინიციატივის გამოჩენა საწარმოთა მესვეურებს. **ახალგაზრდა დამწყებმა სპეციალისტმა, თუ ის კარგად არის მომზადებული თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, უნდა იცოდეს, რომ, თუ კეთილსინდისიერად იშრომებს, მეტ ანაზღაურებას მიიღებს, ვიდრე მისი სხვა ნაკლებ მომზადებული თანატოლი. დღეს, როდესაც ასე რეალურად დგას წარმოების სფეროში ჩაბმულ მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და სტიმულირების საკითხი, ეს ახალგაზრდა სპეციალისტებზეც უნდა გავრცელდეს წარმოებაში მათი მისვლის დღიდანვე.**

იგივე ითქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურაში ახალგაზრდობის მიზიდვაზეც. ტექნიკურ დარგებში დღეს საჭიროა ასპირანტურის გზით კვალიფიკაცია იმ ახალგაზრდებმა აიმაღლონ, რომლებსაც უკვე აქვთ წარმოებაში მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ლტოლვა ასპირანტურისადმი, განსაკუთრებით დასწრებული ასპირანტურისადმი თანდათანობით მცირდება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ასპირანტის სტიპენდია გაცილებით ნაკლებია ინჟინრის საწარმოო ხელფასზე. ძალიან ხშირად ეს გავლენას ახდენს ახალგაზრდის არჩევანზე.

სამეცნიერო-ტექნიკური განათლების პრობლემატიკა მეტად რთული და მრავალმხრივია. დღეს ის განსაკუთრებით აქტუალურია — ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სრულყოფილად უნდა ამოქმედდეს მისი მთავარი ბერკეტი — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ამ ბერკეტის მართვაში კი განუსაზღვრელად დიდია პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა ტექნიკური ინტელიგენციის როლი და დანიშნულება.

**დ. ჩხეიძე,**
**საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში.**

## ინიციატივა გააზრებულად უნდა გავრცელდეს

# შვიდჯერ გაზომე...

**ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის უშანგ სამადაშვილის სტატია ეხება მეტად აქტუალურ საკითხს — მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობასა და ინიციატივას. წერილში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მოწინავე თაოსნობა ძიებითი ხასიათის შრომის გამოვლინების ფორმაა, რომელიც საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე წამოჭრილი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის თვისებრივად ახალ მეთოდებსა და ხერხებს გულისხმობს. წერილში უარყოფილია ინიციატივის მოუფიქრებელი, გაუანალიზებელი მხარის დაჭერისა და გავრცელების შემთხვევები.**

**განვითარებული** სოციალიზმის სრულყოფის დიალექტიკა ისეთია, რომ იგი სულ უფრო ნათლად, სრულად ავლენს თავის უპირატესობებს. ამასთან, ერთი მხრივ, თავისუფლდება მეურნეობის გაძღოლის მოძველებული ფორმებისა და მეთოდებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებსა და პრობლემებს, რაც, ბუნებრივია, მეურნეობრიობის შესაბამისი ახალი ფორმების დროულ გამოძებნასა და შერჩევას მოითხოვს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ითქვა, რომ საჭიროა სოციალისტური მეურნეობრიობის ფორმები შევუსაბამოთ თანამედროვე პირობებს და ამით მივაღწიოთ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის არსებითს დაჩქარებას.

ამ სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა მარტო ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური ცენტრის ან მეცნიერების საქმედ მიჩნევა საზიანოც იქნებოდა ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის. რატომ? იმიტომ, რომ ერთიან სახალხო-მეურნეობრივ ორგანიზმში მიმდინარე რთული მოვლენები და პროცესები შინაგანად წინააღმდეგობრივი ხასიათისა გახლავთ. მათი შეცნობა და დროული გათვალისწინება დამოუკიდებლად არ ძალუძთ არც ეკონომიკურ ცენტრსა და არც მეცნიერებს, თუ ისინი არ დაეყრდნენ ამავე მოვლენებისა და პროცესების უშუალო მონაწილეების — მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობასა და ინიციატივას. სწორედ ამიტომ უნდა შეგვეძლოს დროულად შევნიშნოთ და წავახალისოთ ხალხის ინიციატივა. ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას, უშრეტი რეზერვი. ყოველ დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტ-ნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს თაოსნობას უნდა უმადლოდეს.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პირობებში განუზომლად დიდია ძვირფასი წამოწყების დროული და ფართო გავრცელების მნიშვნელობა. ვინაიდან, ჯერ ერთი, სულ უფრო იზრდება მისი როლი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში და, მეორე, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მნიშვნელოვნად ამცირებს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოწინავე გამოცდილება ინარჩუნებს სიახლის ძალას, სახალხომეურნეობრივ დანიშნულებას.

პრაქტიკამ წარმოშვა სამეურნეო ინიციატივის გამოვლენის ფორმები და მეთოდები, რომლებიც მოქმედების ფარგლების მიხედვით ადგილობრივ, რეგიონალურ, საკავშირო-სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო თაოსნობებად შეიძლება დაჯგუფდეს.

ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობისაა ცალკეული ბრიგადის, საწარმოს (გაერთიანების) კოლექტივის თაოსნობა, რომელიც საწარმოო კოლექტივისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება და ორგანიზაციულად საწარმოს (გაერთიანების), რაიონის, ქალაქის ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ერთობლივი გადაწყვეტილებით ფორმდება. ამის მაგალითია „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟეთა მიკროკოლექტივის თაოსნობა „ბრიგადის ყველა წევრი რაციონალიზატორი უნდა იყოს!“. ამ წამოწყებას აქ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა და 1984 წელს 318 წინადადების დანერგვით დაგვირგვინდა, რის შედეგადაც 869 ათასი მანეთი დაიზოგა.

რეგიონალური მნიშვნელობისაა თაოსნობა, რომელიც ოლქის, მხარის, რესპუბლიკის, დარგის წინაშე წამოჭრილი საკითხების მოგვარებას ემსახურება და ორგანიზაციულად ფორმდება როგორც დარგობრივი სამინისტროსა და პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის, ისე ოლქის, მხარის, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გავრცელდა თბილისელ ავიამშენებელთა რეგიონალური მნიშვნელობის თაოსნობა: „ყოველი საწარმო — საუკეთესოთა შორის დარგში, რესპუბლიკასა და ქვეყანაში!“ მარტო მანქანათსაშენებელ და ხელსაწყოთსაშენებელ საწარმოებში ამ ინიციატივას მხარი აუბა 105 ბრიგადამ და 3557 მუშამ. წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა კი 32006 მანეთი შეადგინა.

საკავშირო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინიციატივას, როგორც წესი იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებებით. შარშან, მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, საქართველოს, აგრეთვე რიგი ქალაქების მოწინავე კოლექტივების ინიციატივას შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით 1 პროცენტით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით 0,5 პროცენტით შემცირების შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა არ გატეხეს სიტყვა და შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით 3,1 პროცენტით გაადიდეს. რაც შეეხება პროდუქციის თვითღირებულებას იგი დამატებით 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სოციალისტური ეკონომიკის ინტეგრაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო ინტერნაციონალური მნიშვნელობის თაოსნობა. საბჭოთა ნოვატორთა საუკეთესო ინიციატივები ფართოდ გავრცელდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში. მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა გამოცდილების შესასწავლად ჩამოყალიბებულია 1500-მდე წრე, მშენებელთა 70 პროცენტზე მეტი მუშაობს ზლობინის მეთოდით, ბერლინის 45 ათასამდე მუშა პირადი შემოქმედებითი გეგმით საქმიანობს.

თავის მხრივ, ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიიქცია უნგრეთის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისა და საწარმოების გამოცდილებამ, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაშიც დაინერგა. საინტერესო აღმოჩნდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ნედლეულის, მასალებისა და ენერგიის ეკონომიური ხარჯვის მეთოდები, ბულგარეთის აგროსამრეწველო კოოპერაციის ფორმები და სხვა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მოწინავე გამოცდილების გადმოღებისას გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. საჭიროა მასში ჯერ ინტერნაციონალური გამოიყოს და შემდეგ გაირკვეს, შეესაბამება თუ არა იგი ჩვენს სამეურნეო პირობებს.

დღევანდელ პირობებში საკმაოდ ეფექტიანია გამოცდილების გავრცელების თვისებრივად ახალი ფორმა — კოლექტიური დამრიგებლობა. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გივი ბიტიაშვილის კომპლექსურ ბრიგადაში კოლექტიური დამრიგებლობის წყალობით პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოსული ახალგაზრდა მუშები სულ რაღაც 3-4 თვეში იმაღლებენ კვალიფიკაციას.

მეცნიერებამ დაასაბუთა და პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოწინავე გამოცდილების გავრცელების ერთ-ერთი უდიდესი ხელშემწყობი პირობაა ნოვატორთა მიღწევების საფუძველზე გამომუშავების ნორმების გადასინჯვა, რაც ჩვენივე საზოგადოების ეკონომიკის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს შრომის ნაყოფიერების ზრდის უპირატესი ტემპი ხელფასთან შედარებით, რაც გამოიწვევს, ჯერ ერთი, მოსახლეობაში ფულადი სახსრების გაუმართლებელ დაგროვებას, მეორე — შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უყაირათო ხარჯვას და მესამე — ბაზარზე კონკრეტული სახის საქონლის ნაკლებობას.

ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა თვით მატერიალური დოვლათის შემქმნელები გახდნენ გამომუშავების ნორმების გადასინჯვის მონაწილენი. ვფიქრობთ, მტკიცებას არ საჭიროებს ის, რომ თვით მუშათა ინიციატივით დადგენილი ნორმები უფრო მეტი პასუხისმგებლობით და ხალისით შესრულდება.

ამ მხრივ კარგად აქვთ საქმე თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების იმ სამეურნეოანგარიშიან ბრიგადაში, რომელსაც პეტრე პეჩინსკი ხელმძღვანელობს. აქ „შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის“ მეთერთმეტე მუხლის შესაბამისად ბორის ხომერიკმა ადმინისტრაციასთან და პროფკავშირებთან შეთანხმებით გადასინჯა მოძველებული გამომუშავების ნორმა და დაზოგილი თანხის 50 პროცენტი ერთდროული პრემიის სახით მიიღო.

ამრიგად, მშრომელთა აქტიურობა საზოგადოების, კოლექტივისა და პირადი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისობის, ასევე ქვეყნის სწრაფი წინსვლის საიმედო გარანტიაა. სწორედ ამიტომ სამეურნეო ხელმძღვანელებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა შენიშნონ და შეუწყონ ხელი იმ საქმიანი წამოწყებების გავრცელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაჭრას და სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულ შეხვედრას.

**უ. სამადაშვილი,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# სურნელოვანი პროდუქცია

**საქართველოში** კვლავ დაიწყო სურნელოვანი ეთერზეთოვანი კულტურების კრეფა. აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული კაზანლიკური ვარდის ვრცელი პლანტაციებიდან მან სუბტროპიკებში გადაინაცვლა, სადაც ჟასმინის დიდი მასივებია. სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელ სადგურში მიღებულია ჟასმინის ზეთის პირველი პარტია, რომელიც ადგილობრივ მეცნიერთა მიერ შექმნილი სრულყოფილი ტექნოლოგიით გამოიმუშავეს. ერთი ტონა ყვავილიდან იღებენ ორ კილოგრამ ზეთს, რომლის თითოეული გრამი ძალზე ძვირად ფასობს.

ზაფხულის დამლევი და შემოდგომის დამდეგი ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია ეთერზეთოვანი კულტურების კრეფისათვის საქართველოში, რომელიც ეთეროვანთა მთავარი დამამზადებელია. ოც სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობასა და 45 კოლმეურნეობაში იწყება რეჰანის, ნემსიწვერას, ხარივარდას, ლავანდის — ცხელი ქვეყნების ოცზე მეტი დასახელების მცენარეთა ფოთლებისა და ყვავილების კრეფა. ამ სიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტუნგოს. საქართველო საბჭოთა კავშირში ერთადერთი რესპუბლიკაა, სადაც ტუნგოს ზეთს იღებენ, რომელზეც ავტომშენებლების, გემთმშენებლების, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა დიდი მოთხოვნაა.

დარგის მუშაკებისათვის მიმდინარე წელი მრავალი სიახლით არის აღნიშნული; ამ სეზონში, მაგალითად, კოლხეთის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის ახალ საამქროში მიიღეს ძლიერ ბიოსტიმულირებელი წვენი, რომელშიც შენარჩუნებულია ძვირფასი მცენარის ყველა ვიტამინი და მიკროელემენტი. ქვეყნის მრავალმა ფარმაცევტულმა საწარმომ გამოგზავნა შეკვეთა ამ პროდუქციაზე. ორჯერ გაფართოვდა ველური ნედლეულიდან მიღებული ზეთების ასორტიმენტი.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში გამოიმუშავებენ თითქმის 80 ათას კილოგრამ სურნელოვან პროდუქციას. (საქინფორმი).

# მეგობრულ ვითარებაში

**28 აგვისტოს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ნგუენ კო თხაჩს.

საუბრის დროს ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ურთიერთობის მაღალი დონის გამო. მის შემდგომ შეუნელებელ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი გახდა ამა წლის ივნისში მოსკოვში გამართული მ. ს. გორბაჩოვისა და ლე ზუანის მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები და განმტკიცებულია მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით, საიმედოდ ემსახურება ჩვენს ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ხელს უწყობს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მთელ აზიის კონტინენტზე.

მსოფლიოში შექმნილი ვითარების განხილვის დროს დაადასტურეს, რომ ეფექტიანია სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთმოქმედება საგარეო-პოლიტიკურ დარგში, აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის მეცადინეობის შემდგომ მჭიდრო კოორდინაციას მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის პირობებში.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ვიეტნამი მთლიანად უჭერს მხარს სსრ კავშირის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული ომის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა და კოსმოსში მისი გაუვრცელებლობა. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქება.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებთან [illegible] ვიეტნამის მეცადინეობას [illegible] სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის [illegible] გაჯანსაღებისათვის, რაც კვლავ დადასტურდა ახლახან გამართულ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების მეთერთმეტე კონფერენციის გადაწყვეტილებებით.

საუბარმა ჩაიარა მეგობრულ, გულითად ატმოსფეროში, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ურთიერთობის ძმურ ხასიათს. (საქდესი.)

# უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

29 აგვისტო ● საქდესი იუწყება

# პლანეტის მშვიდობისათვის

**საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, მათ ფართოდ ეხმაურებიან სხვადასხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებად მიიჩნევენ მსოფლიოში მ. ს. გორბაჩოვის წერილს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მოქმედების განხილვის კონფერენციის მონაწილეებისადმი.**

## გამოხმაურება

**ბერლინი.** „სსრ კავშირი ადასტურებს თავის პოზიციას გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის მიმართ“, „სსრ კავშირი მხარს უჭერს გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტას“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავს პრესა მ. ს. გორბაჩოვის მისალმებას ჟენევის კონფერენციის მონაწილეებისადმი.

გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვებს: საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და კვლავაც იხმარს იმისათვის, რომ არამარტო ხელი შეუშალოს ბირთვული იარაღის გავრცელებას, არამედ შეაჩეროს კიდეც გამალებული ბირთვული შეიარაღება, უკუღმა შეატრიალოს იგი. საბჭოთა კავშირს, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“, არაერთხელ გადაუდგამს ნაბიჯი, რომლის მიზანია გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა და შეწყვეტა.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის ყველა ცენტრალური გაზეთი გამოჰყოფს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს არაერთხელ გადაუდგამს ნაბიჯი ცალმხრივი წესით, მაგალითი უჩვენებია სხვებისათვის, რითაც ხელი შეუწყვია გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის დარგში მორიგებათა შემუშავებისათვის. ასევე რომ მოქცეულიყვნენ ის ბირთვული სახელმწიფოები, რომლებსაც ეს ჯერ არ უქნიათ, ეს საერთოდ ბირთვული იარაღის აკრძალვის ტოლფასი იქნებოდა.

**ნიუ-იორკი.** „მხურვალედ ვუჭერ მხარს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მოქმედების განხილვის კონფერენციის მონაწილეებისადმი მ. ს. გორბაჩოვის მისალმებაში გამოთქმულ აზრს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეაჩეროს და უკუღმა შეატრიალოს გამალებული ბირთვული შეიარაღება“, — განაცხადა „ბირთვული შეიარაღების გაყინვის კამპანიის“ თავმჯდომარემ კაი ბრაისეტმა. „სსრ კავშირმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია, როცა ცალმხრივი წესით გამოაცხადა ყველანაირი ბირთვული აფეთქების მორატორიუმი“, — ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენელმა.

„ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულება რეალობა რომ გახდეს, სხვა ბირთვულმა სახელმწიფოებმა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უნდა მიბაძონ საბჭოთა კავშირის ჰუმანურ მაგალითს, — თქვა ბრაისეტმა. — ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ეკისრება სერიოზული პასუხისმგებლობა, მას მოეთხოვება უსწრაფესად გადასინჯოს ნეგატიური პოზიცია მნიშვნელოვანი საბჭოთა ინიციატივის მიმართ“.

**ლონდონი.** მ. ს. გორბაჩოვის წერილში, წერს რეიტერის სააგენტო, ჩანს რწმენა იმისა, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბირთვული აფეთქებების ორმხრივი მორატორიუმის დაწესება ხელს შეუწყობს გამალებული შეიარაღების ალაგმვას.

**პარიზი.** ბირთვული გამოცდის შეჩერების ახალ მოწოდებად მიიჩნევს საბჭოთა ხელმძღვანელის წერილს ფრანს პრესის სააგენტო.

მ. ს. გორბაჩოვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, მის მზადყოფნას, რომ დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ, წერს გაზეთი „ლუმანიტე“.

საბჭოთა ხელმძღვანელი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვის პრობლემა და კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილების ამოცანა განუყოფელია, აღნიშნავს გაზეთი „მატენი“.

**დელი.** ინდოეთის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება სსრ კავშირის ენერგიულ მეცადინეობას, რომლის მიზანია ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილება და მომაკვდინებელი იარაღის არსენალების ზრდის შეწყვეტა, განაცხადა ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, პარლამენტის დეპუტატმა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიისაგან საიდ ასრარულ ჰაკმა. გამალებულმა ბირთვულმა შეიარაღებამ, აღნიშნა მან, შეერთებული შტატების მიზეზით სახიფათო დონეს მიაღწია და ახლა სერიოზულ საშიშროებას უქმნის მთელი კაცობრიობის არსებობას. ამ პირობებში ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, უაღრესად მადლიერია საბჭოთა კავშირისა, რომელმაც წამოაყენა კონსტრუქციული ინიციატივა. მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი წესით შეწყვეტა საბჭოთა კავშირის კონკრეტული აქციაა გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების სასარგებლოდ.

ინდოელი პარლამენტარები დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის უდიდეს წვლილს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ხაზი გაუსვა ს. ასრარულ ჰაკმა.

## სსრ კავშირის თანამიმდევრული პოზიცია

**ჟენევა.** აქ მუშაობას განაგრძობს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მოქმედების განხილვის მესამე კონფერენცია. დღეს პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მ. პეტროსიანცმა თქვა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე დამყარდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმი, რომელიც ქმედითი ინსტრუმენტი გახდა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის საქმეში. როგორც კონფერენციის მონაწილეებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მისალმებაშია აღნიშნული, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებამ საქმით დაამტკიცა თავისი ცხოველუნარიანობა.

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად უჭერს მხარს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმის ყოველმხრივ განმტკიცებას, თქვა შემდეგ ორატორმა. ჩვენი აზრით, ახლა მთავარია ხელშეკრულების ყველა მონაწილე სახელმწიფოს მეცადინეობის შემდგომი გააქტიურება ამ საერთაშორისო შეთანხმების უნივერსალობის მიღწევის, უწინარეს ყოვლისა მასში ყველა ბირთვული სახელმწიფოსა და ბირთვული იარაღის შექმნის მოსურნე ქვეყნის ჩაბმის მიზნით. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქვეყანა, კერძოდ ისრაელი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, პაკისტანი, არსებითად არ მალავენ თავიანთ ბირთვულ ამბიციებს, ჯიუტად არიდებენ თავს ხელშეკრულებაში მონაწილეობას.

თავის მხრივ სსრ კავშირი, როგორც ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო, ზუსტად იცავს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. მან დამსწრეთ შეახსენა მრავალმხრივი საბჭოთა კონსტრუქციული სამშვიდობო ინიციატივები, რომელთა მიზანია გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა. ამის ახალი დადასტურებაა სსრ კავშირის გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ყველანაირი ბირთვული აფეთქება მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან.

უეჭველია, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველანაირი ბირთვული აფეთქების ორმხრივი მორატორიუმი კარგი მაგალითი იქნება ბირთვული იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოებისთვისაც, ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას.

ჩვენი კონფერენცია თავის წვლილს შეიტანს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში, გამალებული შეიარაღების ალაგმვასა და საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებაში, თუ აქ მიღებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობს გაუვრცელებლობის რეჟიმის შემდგომ განმტკიცებას, აღნიშნა დასასრულ სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

უნგრეთი

## გაიხსნა საკონსულტაციო შეხვედრა

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქში გაიხსნა სოციალისტურ ქვეყნებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა. მის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

შეხვედრა მოეწყო იმ ღონისძიებათა ფარგლებში, რომლებიც ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 40 წლისთავთან და მშვიდობის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, 1986 წელს რომ აღინიშნება. შეხვედრაზე განიხილავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობის საერთაშორისო მოძრაობაში სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრიობის თანამშრომლობის საკითხებს.

## ადამიანის ხელშეუვალი უფლება

**ჟენევა, ერთა სასახლეში გრძელდება ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მათი დაცვის ქვეკომისიის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ორგანოს — ოცდამეთვრამეტე სესია.** მისმა მონაწილეებმა მოიწონეს რეზოლუციები, რომლებშიც გამოთქმულია შეშფოთება გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით გამალებული ბირთვული შეიარაღების განგრძობის, მშვიდობის საქმისათვის მისი დამღუპველი შედეგების გამო.

საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში „საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება როგორც ადამიანის უფლებების, უწინარეს ყოვლისა, სიცოცხლის უფლების განხორციელების ფუძემდებელი პირობა“ ხაზგასმულია, რომ უაღრესად საჭიროა ყოველნაირი მეცადინეობა მშვიდობის განმტკიცებისათვის, ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისათვის.

რეზოლუციაში „ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები და საერთაშორისო მშვიდობა“ განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა იმას, რომ გამალებული შეიარაღება მოითხოვს უდიდეს მატერიალურ ხარჯებს, არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას და იწვევს რესურსების უსარგებლო ხარჯვას.

ფორუმის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს სთხოვეს წარმოუდგინოს ქვეკომისიას მის მეორმოცე სესიაზე მოხსენება ყველა ასპექტით და მიმართულებით ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო მშვიდობის ურთიერთკავშირის, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური დარგის მდგომარეობაზე სამხედრო ხარჯების ზრდის არასასიკეთო ზემოქმედების შესახებ.

## აშშ სამგლოვიარო ცერემონია

**ვაშინგტონი.** ქალაქ ოგასტაში (მენის შტატი) გაიმართა ავიაკატასტროფაში დაღუპული ცამეტი წლის მოსწავლის სამანტა სმიტთან და მამამის არტურთან გამოთხოვების სამგლოვიარო ცერემონია. ასობით ადამიანი მოვიდა, რათა პატივი მიეგო გოგონასათვის, რომლის ნათელი ღიმილი, საბჭოთა და ამერიკელი ხალხების მეგობრობისათვის გულწრფელი მოწოდება ეხმიანება მილიონობით ადამიანის გულს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს წარმომადგენელმა სამანტას დედას — ქალბატონ ჯეინ სმიტს — გადასცა მ. ს. გორბაჩოვის სამძიმრის დეპეშა. ჯ. სმიტმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს ყურადღებისათვის. მთელი გულით ვგრძნობ, რომ ჩემმა ქალიშვილმა ხანგრძლივი და ნათელი ხსოვნა დატოვა როგორც თავის სამშობლოში, ისე შორეულ საბჭოთა კავშირში. და ეს მიმსუბუქებს მწუხარებას, თქვა მან.

საფრანგეთი

## ოპტიმისტური პროგნოზების საწინააღმდეგოდ

**პარიზი.** აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საფრანგეთის საგადასახადო ბალანსის დეფიციტმა შეადგინა დაახლოებით 6,6 მილიარდი ფრანკი. ეს ცნობა, წერს ფრანგი კომუნისტების გაზეთი „ლუმანიტე“, მთავრობის ოპტიმისტური პროგნოზების მკვეთრ დისონანსად გაისმა. იგი გასული წლის დამლევს ირწმუნებოდა, რომ გააუმჯობესებდა ქვეყნის საგადასახადო ბალანსს.

საფრანგეთი ახლა ვალების ნაწილს იხდის მასობრივი დათხოვნებისა და ეკონომიკური აქტიურობის შეკვეცის გზით, ნათქვამია სტატიაში. საგარეო დავალიანებას, ხაზს უსვამს „ლუმანიტე“, მთავრობა აკისრებს აგრეთვე მსხვილ ნაციონალიზებულ კომპანიებს. ასეთი „ღონისძიებანი“ მხოლოდ გააუარესებს საფრანგეთის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას, წერენ კომუნისტები.

ფოტოინფორმაცია

**ნიუ-იორკი.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის სისხლიანი დანაშაულისა და მისთვის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ხელშეწყობის წინააღმდეგ მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ნიუ-იორკში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის შენობიდან ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობის შენობამდე ათასობით მანიფესტანტმა ჩაიარა ხელში პლაკატებით: „ვაშინგტონისა და პრეტორიის ალიანსს ბოლო უნდა მოეღოს!“, „ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციებო, დატოვეთ სამხრეთ აფრიკა!“.

**სურათზე:** ნიუ-იორკის მანიფესტაციის მონაწილენი. მარჯვნივ — ცნობილი ამერიკელი მომღერალი და მშვიდობის მებრძოლი გარი ბელაფონტე.

ასოშიეიტედ პრეს-საქდესის ტელეფოტო.

## მდგომარეობა ნიგერიაში

**კოტონუ. ნიგერიის ახალმა ხელისუფლებმა, სადაც 26 აგვისტოს ღამით სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, განკარგულება გასცეს დღეიდან ქვეყნის ყველა აეროპორტის გახსნის შესახებ. საზღვაო ნავსადგურები და სახმელეთო საზღვრები ჯერჯერობით ისევ ჩაკეტილია. ლაგოსსა და შტატების მთავარ ქალაქებში საღამოს შვიდი საათიდან დილის ექვს საათამდე კვლავ მოქმედებს კომენდანტის საათი. სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი გარე სამყაროსთან კვლავინდებურად არ არის.**

რესპუბლიკის დედაქალაქსა და სხვა რაიონებში შედარებით სიმშვიდეა. ლაგოსის ქუჩებში პატრულობენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები.

ლაგოსში დღეს ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ნიგერიის „შეიარაღებული ძალების მმართველი საბჭო“ არმიისა და პოლიციის 28 წარმომადგენლის შემადგენლობით. მას მეთაურობს ქვეყნის პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალ-მაიორი იბრაჰიმ ბაბანგიდა. როგორც ლაგოსის რადიო აღნიშნავს, ამ ორგანომ, რომელიც შეცვლის დათხოვნილ უმაღლეს სამხედრო საბჭოს, უნდა განსაზღვროს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

ამავე დროს მოხდა ახალი დანიშვნები ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლეს ეშელონში. როგორც ლაგოსიდან იუწყებიან, იქ შეიქმნა შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტი. მისი თავმჯდომარე გახდა გენერალ-მაიორი დომქათ ბალი, რომელიც ინარჩუნებს თავდაცვის მინისტრის პოსტს. დანიშნული არიან სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბების ახალი უფროსები, აგრეთვე პოლიციის გენერალური ინსპექტორი.

## ანტისაბჭოთელებს ყველანაირი ჭორი ხელს აძლევს

**ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გართულების მომხრენი კვლავ აღვივებენ ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ანტისაბჭოურ კამპანიას იმის გამო, თითქოს ამერიკელი დიპლომატების წინააღმდეგ მოსკოვში გამოეყენებინოთ რაღაც ქიმიური ნივთიერებანი.**

საღად მოაზროვნე ამერიკელები სვამენ კითხვას, რისთვის სჭირდება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ასეთი პროვოკაციული ხმების გავრცელება. მათ, კერძოდ, ებადებათ კითხვა, როგორ შეიძლებოდა ეს ნივთიერება გამოეყენებინათ ამერიკელების სათვალთვალოდ, როგორც ამას ამტკიცებს სახელმწიფო დეპარტამენტი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისი არსებობა, ცნობების თანახმად, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში.

მრავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალება, ამ თემაზე ცნობებს რომ აქვეყნებს, მეტწილად უნდობლად ეკიდება ადმინისტრაციის მტკიცებას, რომლის ლოგიკაშიც, როგორც წერს პრესა, ბევრი „შავი ხვრელია“. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნულია, რომ არ არსებობს კონკრეტული ცნობები იმის თაობაზე, თუ სად, როდის და რა ვითარებაში გამოიყენეს ან აღმოაჩინეს ეს ქიმიური ნივთიერება. გავლენიან გაზეთებს მოჰყავთ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორის ს. ტერნერის გამონათქვამები, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ მისთვის არასდროს არ მოუხსენებიათ ასეთი ნივთიერების არსებობა და მან ამის თაობაზე არაფერი იცის. ყველაზე დიდი კითხვა, ხაზს უსვამს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ის არის, რა მიზნით ატეხა ადმინისტრაციამ მთელი ეს აურზაური და მხარს უჭერს მის გავრცელებას.

ბაზარი ჩვენი მღელვარებისა

„კომუნისტის“ რეიდი

# მიწაზე, მტვერში...

## დავამყაროთ წესრიგი საკოლმეურნეო ბაზრებში

**ახლახან** კეხვის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მეოთხე ბრიგადის პარტიული ჯგუფის საანგარიშო კრებაზე დიდი მსჯელობა გაიმართა საკოლმეურნეო ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობის თაობაზეც.

— ჩემს საკარმიდამოში მოყვანილი ხილ-ბოსტნეული რატომ ვერ უნდა გავყიდო, როცა მინდა? — ამბობდა ერთი. ცნობაზე მოვდივარ და ზოგჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარე აქ არ მხვდება, არადა, ხილი გვიფუჭდება.

ამ ნათქვამში იყო სიმართლე. ზოგჯერ ადგილებზე მშრომელებს უპიანურებენ სათანადო ცნობის მიცემას, რის გამოც ხელი ეშლება ბაზრების მომარაგებას საჭირო პროდუქტებით. ყოველივე ამით სარგებლობენ ისინი, ვისაც არასწორი გზით სურს დაეუფლოს ბაზრის დახლებს. ვაჭრობის ახალი წესის შემოღება საკოლმეურნეო ბაზრებზე მხოლოდ უსაქმურებს, სპეკულანტებს უღობავს გზას, იმათ, ვინც დღედაღამ ბაზარშია, რომ მამასისხლად გაყიდოს ხილი თუ ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქტები, თორემ ხალდი მშრომელი კაცი გაგანია სიცხეში, მტვერსა და ქარში, სავაჭროდ დიდხანს როგორ გაჩერდება?

იმ დღეს ბუღი იდგა ცხინვალში. ორივე საკოლმეურნეო ბაზარში კი ტევა არ იყო. გამყიდველი თუ მყიდველი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა თავის სასარგებლოდ ირჯებოდა.

— რა ღირს ატამი? — ვეკითხებით ერთ ჯან-ღონით სავსე კაცს.

— ოთხი მანეთი.

— სადაურია?

— არცეული.

— ყოჩაღ, კარგი ბაღი გქონია, — ვუთხარით და სარეალიზაციო ცნობა მოვთხოვეთ.

ასეთი ცნობა № 10 კიდეც გაუცია მეურნეობის ხელმძღვანელობას, შტამპიც ატყვია და ბეჭედიც, წყალი არ გაუვა, ნამდვილია. ნება ეძლევა ყარამან გაზიევს ცხინვალის საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდოს 250 კილოგრამი მსხალიო. ყარამანი კი ატამს ყიდდა. მას ცნობა ჰქონდა 2-დან 7 აგვისტომდე, მაგრამ რიცხვი ორის ჩამატებით ედგა 22-დან 27 აგვისტომდე გაიგრძელა. თან მსხალს ატამიც მიუწერა. ასე გაიჩარხა საქმე. გაგვიკვირდა, ახლა, როცა არცევის საბჭოთა მეურნეობას მუშახელი არ ჰყოფნის მეცხოველეობისათვის საკვების დასამზადებლად, ასეთ ჯანიან ახალგაზრდა კაცს საბაზრედ ვინ მოაცდენდა?

ასევე „გაიცურა“ ბაზრის მუშაკები ძარწემელმა (ცხინვალის რაიონი) ქენია მაღალდაძემ. 15 აგვისტოს გაცემული ცნობით ისარგებლა. თავად გადააკეთა იგი, ლურჯად ნაწერს მწვანე ფერი „შეუხამა“ და ერთი კვირით კიდევ გაიგრძელა ვაჭრობის უფლება. 12 კილომეტრის სიშორიდან რისთვის ჩამოვიდა ბაზარში, რით ვაჭრობდა ქენია? ორიოდე კილო მწვანილით და სტაფილოთი. განა უჭირს და იმიტომ, უბრალოდ, მიეჩვია ბაზარს და ველარ ელევა.

ვერ იქნა და ბაზარს ვერ მოაცილეს ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის მკვიდრი თამარ ქოქოევა. ყოველგვარი ცნობის გარეშე შეიპარება ხოლმე იქ ჩანთით. ყიდის მწვანილს, კერძების სანელებლებს: ხმელ ქინძს, ქონდარს, ზაფრანას, ხმელ სუნელს...

არა. გვგონია, წყალტუბოს ზონის მესხეთის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასაც მოჭარბებული ჰყავდეს მუშახელი. ცნობა კი № 13652 მიუციათ სევერიან მელაძისათვის, რომ ცხინვალში გაყიდოს 10 კილოგრამი ჭყინტი სიმინდი, ამდენივე კილოგრამი ყველი, ლობიო და ათი ქათამი. ნუთუ ამ მცირე პროდუქტების გასაყიდად შეიძლებოდა ცნობა იყო საჭირო, ისიც ამ სიშორეზე წამოსასვლელად? სევერიანი კი ცხინვალში სულ სხვა პროდუქტებს — ლეღვსა და დაფნას ყიდიდა.

რა ვქნა, ბატონო, არ ჩაუწერიათ, რა ჩემი ბრალია, — გვითხრა და შეგვევედრა, ახლა მაპატიეთ და სხვა დროს ზუსტად ჩავაწერინებო.

ვის არ ნახავთ აქ, ცხინვალის საკოლმეურნეო ბაზარში — გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონების, სოფლების შინდისის, ტირძნისის, ვარიანის, ერგნეთის, ტინისხიდის მკვიდრთ — როლანდ თვალიაშვილს, დავით და დალი ბასილაშვილებს, რუსიკო ოქროპირიძეს, თინათინ ხიზანიშვილს... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ ისინი არც საკუთარ ღირსებას უფრთხილდებიან და არც მომავალზე ფიქრობენ. სამწუხაროდ, ზოგიერთები ბაზარში ყოფნას, ვაჭრობას აჩვევენ შვილებს. ნუთუ თავად ვერ გაყიდიდა ძარწემელი (ცხინვალის რაიონი) ვანო ქოველიძე ათიოდე კილოგრამ სიმინდის ფქვილსა და ხაჭოს, რომ მოსაშველებლად მეექვსეკლასელი შვილი არ წამოეყვანა?

განთქმულია ოსური ყველი. მთელ ბაზარში გამოირჩეოდა დიდრონი, 8—10-კილოგრამიანი ყველის თავები, რომელსაც სოფელ წრუს (ჯავის რაიონი) მცხოვრები ფ. თუაევა ყიდდა. ამდენი თავები ახლა, სამწუხაროდ, თითქმის აღარც ერთ მეურნეობაში აღარ ამოჰყავთ.

ყველა მყიდველი ამ ქარვასავით ყველს ეტანებოდა, ყუთები დაეცალა და კიდევ ათიოდე თავი გასაყიდი ჰქონდა. ცნობა კი 50 კილოგრამის სარეალიზაციოდ გაუცია ჯავის საბჭოთა მეურნეობას. საეჭვოა, ხომ არავინ უწყობს ხელს თუაევას ბაზარზე ძვირად გაყიდოს თავისი თუ სხვისი ყველი?

ტბეთელ ბაბულია ხუბაევას შემოტანილ ყველა თავ ყველს ექიმის ბეჭედი ჰქონდა, ხოლო ექსპერტიზის ქვითარი № 331 გამოწერილი იყო 50 კილოგრამ ყველზე. საკვირველია, ბაზრის ვეტექიმმა ლ. ქობესოვამ რატომ დაარტყა ბეჭედი ყველის თავებს, როცა ამ მოქალაქეს არ ჰქონდა ცნობა, გაყიდვის უფლება?

ბალჩეულის, ხილ-ბოსტნეულისა და რძის პროდუქტებით მოვაჭრეთა დახლებზე მაინც წესრიგი შეინიშნებოდა. თუმცა დახლების უქონლობის გამო თხილი, წიწაკა, სხვა პროდუქტები მიწაზე ეყარა. პირუტყვისა და ფრთოსნის სარეალიზაციო მოედანზე არავითარი წესრიგი არ არის, ირგვლივ უსუფთაობაა, ზოგჯერ მტვრის კორიანტელში ეხვევა ვაჭარიც და მუშტარიც.

იმ დღეს, 25 აგვისტოს, ბაზარზე დიდძალი პირუტყვი და ფრთოსანი მიეყვანათ გასაყიდად ცნობის გარეშე. ბევრი უცნობი გამყიდველი მილიციამ დაითხოვა ბაზრიდან, რადგან მათ პირადობის დამადასტურებელი საბუთებიც არ ჰქონდათ. საკვირველია, ბაზრის კონტროლიორებმა სამსონ გაბარაევმა და ისიდორე კულუმბეგოვმა რატომ გაატარეს კარებში? ნუთუ მათ მოვალეობას არ შეადგენს გასინჯონ ცნობები. თუ ყველას შემოწმება შემოსასვლელში ძნელია, მერე ხომ შეიძლებოდა გაკონტროლება?

საქონლის ბაზარზე თვალს მოხვდა და გული გვატკინა ორი პატარა ბიჭის დანახვამ, რომელთაც ქათმები ეჭირათ ხელში და ყიდიდნენ. ისინი ცხინვალის რაიონის სოფელ ხეითის მკვიდრნი ელდარ შოთას ძე ჭულუხაძე და თემურ გაზზაის ძე თედეევი იყვნენ. საოცარია, მესამეკლასელი ბიჭები როგორ გამოუშვეს სახლიდან სავაჭროდ?

ქვემოქედელ იოსებ ტოხოშვილს ჰქონდა 30 აპრილს გაცემული ცნობა ცხვრის გასაყიდად, მაგრამ ახალი ცნობის გარეშე რატომ შეუშვეს ბაზარში. 45 სული ცხვარ-თხის პატრონს სარეალიზაციო ცნობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა. და როცა ვურჩიეთ, ცხვარი ხორცკომბინატში ჩააბარეო, მაშინ საიდანღაც გაჩნდა ლამბალოელი მამედოვი კაზუმ შამბათ ოღლი და განაცხადა: ცხვარი ჩემია, მე წონელთა დაქირავებული მწყემსი ვარო და წარმოადგინა წონის საბჭოთა მეურნეობის ცნობა უშტამპო, № 005185, ბეჭედდასმული მხოლოდ ბრიგადირის, თვით კაზუმ მამედოვის ხელმოწერილი, რომლის მიხედვითაც მას პირადი 60 სული ცხვრის რეალიზაციის უფლება ეძლეოდა. დადგენილი წესის მიხედვით ასეთ ცნობას ხელს უნდა აწერდნენ მეურნეობის ხელმძღვანელი, ბრიგადირი და ბოლოს ბაზრის ხელმძღვანელი.

რეიდმა ცხადყო, რომ ცხინვალის ბაზრებზე (დირექტორი — გ. ფლიევი) ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი. ბაზრები არ არის კეთილმოწყობილი, არა აქვთ საწყობები, მაცივრები, არ ჰყოფნით პავილიონები, რაც არის, ისიც გაფუჭებულია. წყალი რა არის, წყურვილით რომ კვდებოდეს კაცი, წვეთ წყალს ვერსად დალევს. ცხინვალის კომუნალური განყოფილების მესვეურებს ალბათ დიდი ლიახვის იმედი აქვთ, თორემ ბაზრის დირექციამ მათ არაერთხელ სთხოვა, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხეს ერთი სასმელი შადრევნის მოწყობა. არც საზკვების ობიექტებია წესრიგში. ბაზრის ერთადერთი სასადილო შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული. აქ ყოველთვის ანტისანიტარიაა.

მეტად კარგი საქმე გაკეთდებოდა, ბაზარში რომ შექმნათ მომსახურების ბიურო. ეს ბევრჯერ თქმულა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ისე კი დიდ სარგებლობას მოუტანდა კეთილსინდისიერ მეურნეს, ოჯახში მეტად მოუცლელ მშრომელს. მას შესაძლებლობა ექნება მომსახურების ბიუროს ჩააბაროს ბაზარში მიტანილი პროდუქცია, თვითონ კი განაგრძოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა მინდვრებსა და ფერმებში..

ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ დაისვა ცხინვალის ბაზრის კეთილმოწყობისა და ახალი ბაზრის მშენებლობის საკითხი.

საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების 1974 წლის 6 ივნისის დადგენილებით რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა 1976-1980 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენისას გაეთვალისწინებინა ცხინვალში დახურული ბაზრის აშენების საკითხი, მაგრამ დადგენილება შეუსრულებელი დარჩა. წელს ახალი ბაზრის ასაშენებლად ცხინვალის ბაზრის ანგარიშში ასი ათასი მანეთიც ჩაირიცხა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

არც რაიონულ ცენტრებშია ბაზრების საქმე კარგად. მოუწყობელია დაბა ლენინგორისა და კვაისის საკოლმეურნეო ბაზრები. ორიოდე ფიცრული დახლია მათი ავლა-დიდება. ზნაურსა და ჯავაში ასეთი დახლებიც აღარ არის. ჯავაში პატარა პავილიონი იყო და ისიც დამალეს. უბაზროდ დარჩა საკურორტო დაბა. ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ კურორტზე ჩამოსული დამსვენებლები, რომლებიც ცხინვალში დადიან ხილ-ბოსტნეულის საყიდლად.

ამ პატარა ბაზრების კეთილმოწყობა და პატრონობა დავალებული აქვს ცხინვალის ბაზრის ხელმძღვანელობას. მაგრამ ცარიელი ხელით რისი გაკეთება შეიძლება?

საკოლმეურნეო ბაზარში სრული წესრიგი უნდა დამყარდეს. საქართველოს საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ მეტი გულისხმიერება და ზრუნვა უნდა გამოიჩინოს სამხრეთ ოსეთის საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. ადგილობრივმა ორგანოებმა კი ხელშეწყობასა და სრული წესრიგის დამყარებაზე უნდა იფიქრონ.

**რეიდის მონაწილენი: ხ. ჯავახიშვილი — ქ. ცხინვალის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი; ო. ვალიევი — ცხინვალის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის რწმუნებული, ე. კულუმბეკოვა — დიასახლისი, ვ. თედეევი — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.**

# ხვალინდელი დღის პოზიციიდან

**რესპუბლიკის** მშენებლობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა უნდა გაზარდონ წელიწადში მილიარდ მანეთამდე, ხოლო შრომის ნაყოფიერება 15,7 პროცენტით. ესოდენ პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში მშენებლებს დაეხმარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირისა და რესპუბლიკური პარტიული აქტივის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სამშენებლო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებანი განიხილეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში გამართულ თათბირზე. თათბირის მუშაობაში მშენებლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმშენის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, ტექნოლოგიური ინსტიტუტებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაკები.

— დასახული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტა, — ხაზი გაუსვა თათბირის გახსნისას რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა, — უნდა უზრუნველყოს წარმოების მართვისა და სტრუქტურის სისტემის ძირეულმა გარდაქმნამ, დარგში მიმდინარე სპეციალიზაციამ, აგრეთვე მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვამ.

განხილულ პრობლემებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ თ. ჟორდანიამ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები.

(საქინფორმი).

## დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი პირადი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. მირონ დიმიტრის ძე **ჩუბინიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# „კომუნისტს“ უპასუხებს

აჭარის ასსრ

ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთიანება

**გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული იყო სტატია „მედიკამენტი თუ ციტრუსი?!“ რომელშიც აღნიშნულია ბათუმის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლების მიერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უკანონოდ ციტრუსების გატანის მცდელობის ფაქტი.**

**აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ნ. გიორგაძე და პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ბოლუა გვაცნობებენ:**

აღნიშნული ფაქტის ირგვლივ აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობასა და პარტიულ კომიტეტს მკაცრი მსჯელობა ჰქონდათ. გაერთიანების ხელმძღვანელობის 1985 წლის 12 აპრილის ბრძანებით სამუშაოდან გათავისუფლდნენ ავტოსაწარმოს დირექტორი თ. შუბლაძე და I კოლონის უფროსი ნ. კვარაცხელია. ასევე II კოლონის უფროსი თ. ბარამიძე გათავისუფლდა პარტბიუროს მდივნის მოვალეობისაგან და გამოეცხადა საყვედური. განთავისუფლებული არიან სამუშაოდან აგრეთვე მძღოლები ვ. დოლიძე და ო. პოლისიანი, რომლებიც რესპუბლიკის გარეთ უკანონოდ ცდილობდნენ ციტრუსების გატანას.

## ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

# პარიზი — ოცნების ქალაქი

...პარიზში ჩასვლისთანავე, საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფი ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „პრინსეს კაროლინაში“ დავბინავდით, რომელიც ტრიუმფულ თაღთან სულ ახლოს, ელისეს მინდვრების პარალელურ ქუჩაზეა. იმავე დღეს დავიწყეთ ქალაქის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების გაცნობა.

იმ დღეებში პარიზელები საზეიმოდ აღნიშნავდნენ ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავს. ყველგან საფრანგეთის ეროვნული დროშები და ტრანსპარანტები იყო გამოფენილი, ტრიუმფულ თაღთან, სადაც უცნობი ჯარისკაცის საფლავია და მარადიული ცეცხლი ანთია, სახელდახელო ტრიბუნებს აწყობდნენ...

...7 მაისს ღამით ულამაზესი სანახავი იყო ელისეს მინდვრები. რეკლამებით ათასფრად გაჩირაღდნებულ პროსპექტზე უამრავი პარიზელი გამოსულიყო, ტრიუმფულ თაღქვეშ აღმართული საფრანგეთის დიდი ეროვნული დროშა პროჟექტორით იყო გაჩახჩახებული. შემდგომ კი დროშამ (სპეციალური მოწყობილობით მაღლა ცაში აჭრილმა) მთელ ქუჩას გადაუარა, რასაც პარიზელები ტაშის გრიალით შეხვდნენ.

იმხანად პარიზის პრესა, ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეიგანის ვიზიტს ესესელთა სამხედრო საფლავზე ბიტბურგში. ტელევიზიით უჩვენებდნენ, როგორ დააწყო მან ყვავილები იმ ჰიტლერელთა პატივსაცემად, რომელთაც ათასობით მშვიდობიანი ადამიანი გაჟლიტეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. შემდეგ გადმოსცემდნენ რეიგანის ვიზიტს ესპანეთში და იმ მრავალათასიან მანიფესტაციას, ამერიკის პრეზიდენტის ჩასვლის საპროტესტოდ რომ გაიმართა მადრიდში. მათ მოჰქონდათ რეიგანის გაშარჟებული პორტრეტები, ტრანსპარანტები. ფრანგი ჟურნალისტები პირდაპირ ქუჩაში იღებდნენ ინტერვიუს რიგითი ესპანელებისაგან. ისინი გამოთქვამდნენ აღშფოთებას რეიგანის ანტიხალხური პოლიტიკის გამო.

8 მაისს დილიდანვე ტრიუმფული თაღისაკენ მისასვლელი ელისეს მინდვრები და მიმდებარე ქუჩები ტრანსპორტისათვის გადაკეტილი აღმოჩნდა. ჯგუფ-ჯგუფად ტრიბუნებისაკენ მიემართებოდნენ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანები. პროსპექტის ორსავე მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ მანიფესტაციის მონაწილე პარიზელები და ტურისტები, რომელთაც ჩვენც შევუერთდით. რადიოთი გადმოსცემდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა მოგონებებს, საზეიმო მარშებს.

დილის ათ საათზე პარადის მონაწილე ეროვნულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ კავალერისტთა ესკადრონი გამოჩნდა, რომელსაც წინ სამხედრო ორკესტრი მოუძღოდა. მოჰქონდათ საბრძოლო დროშები. დაიწყო პარადი. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა, პრემიერ-მინისტრ ფაბიუსისა და სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეთა თანხლებით, გვირგვინებით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი, წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. მიტერანმა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოები გადასცა წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა ჯგუფს. ცერემონიალში მონაწილეობდნენ უცხოეთის ქვეყნების დელეგაციები, მათ შორის — ომის ვეტერანთა საბჭოთა ჯგუფის წარმომადგენლები.

ფრანგმა ხალხმა ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავი აღნიშნა მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგით, რომ აღარასოდეს განმეორდეს ომი. საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა საზეიმო ცერემონიალები, მიტინგები, შეხვედრები...

პარიზიდან ვერსალის დიდებული სასახლისაკენ მიმავლებმა მონ-ვალერიენის ბორცვზე ვნახეთ წამებულთა მემორიალი, რომელიც 1960-61 წლებში აუგიათ.

ოკუპაციის პერიოდში ამ ადგილას ფაშისტები სასტიკად უსწორდებოდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს, წამებით ხოცავდნენ ფრანგ პატრიოტებსა და იმათ, ვისაც კი მათ ხელშემწყობად მიიჩნევდნენ. აქ 5.000-ზე მეტი პატრიოტი დაიღუპა. წამებულთა უკვდავსაყოფად აღმართულია მემორიალური კედელი, საბრძოლო ეპიზოდების ამსახველი ბარელიეფებ-

ით დამშვენებული. ცენტრში ჯვრის ფორმის წითელი გრანიტის ქანდაკებაა, რომლის წინ მარადიული ცეცხლი ანთია.

ფრანგ პატრიოტთა პატივსაცემად აღმართული ძეგლები ვნახეთ აგრეთვე საფრანგეთის სხვა ქალაქებში მოგზაურობისას (ბორდოში, პერიგიოში, ანგულემში).

**ქალაქი** შამპინი ტიპური მუშათა გარეუბანია.. იგი პარიზიდან თხუთმეტიოდე კილომეტრზე მდებარეობს, მისი მოსახლეობა 72.000-ია. 11 მაისს მუშათა ეს ლამაზი დასახლება საზეიმოდ იყო მორთული. ლენინის მოედანი, სტალინგრადის ხეივანი, ჟან ჟორესისა და სხვა ქუჩები საზეიმოდ დამშვენებულიყო. ქალაქი აღნიშნავდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნული მუზეუმის დაბადებას, რომელიც ერთადერთია მთელ ქვეყანაში.

მუზეუმის გახსნის ცერემონიალს ვერ დავესწარით, რადგან იმ დღეს ჩვენი ჯგუფი სამოგზაურო მარშრუტით ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გაშენებულ უძველეს ქალაქ ლაროშელში იყო.

12 მაისს კი შამპინს ვეწვიეთ. მუზეუმის დირექტორი ანდრე ტოლიე გულთბილად შეგვეგება, გვითხრა, ოფიციალური გახსნის შემდეგ თქვენ პირველი დამთვალიერებლები ხართო.

მუზეუმი წარმოადგენს ხუთსართულიან შენობას, რომელიც საკმაოდ დიდ პარკშია აღმართული. ექსპოზიციის გაცნობა მესამე სართულიდან დავიწყეთ, ჩვენმა მასპინძელმა ბოდიში მოგვიხადა, ჯერ კიდევ მთელი მასალები არა გვაქვს გამოფენილი, ვჩქარობდით, გამარჯვების 40 წლისთავისათვის გვინდოდა მოგვესწრო, ყველაფერი ხომ ენთუზიასტების მიერ არის შეგროვილი და მომზადებული. იგი აღფრთოვანებით გვიამბობდა, როგორ გაიხსნა მუზეუმი. აქ შეკრებილან საფრანგეთის სხვადასხვა დეპარტამენტიდან და პარიზიდან ჩამოსული წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანები, კომუნისტთა დელეგაცია საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ჟორჟ მარშეს მეთაურობით, მთავრობის წევრები, სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ოკუპაციის წლებში იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები.

ანდრე ტოლიემ სთხოვა მუზეუმის თანამშრომელს ჩაერთო მაგნიტოფონი და მოგვასმენინა ჟორჟ მარშეს სიტყვა, რომელიც მან საზეიმო შეკრებაზე წარმოთქვა. ფრანგ კომუნისტთა ლიდერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუზეუმის გახსნას, განსაკუთრებით ამ პერიოდში, როცა ზოგიერთ ქვეყანაში ცდილობენ სიმართლე დაუმალონ ხალხს, დაავიწყონ ის დიდი უბედურება, რომელიც ფაშიზმმა მოუტანა კაცობრიობას და რა დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა მრავალი ქვეყნის ხალხებს მისი მოსპობა.

ანდრე ტოლიეს სახელი კარგად არის ცნობილი ფრანგ კომუნისტთა შორის. ოკუპაციის წლებში იგი წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი ყოფილა, ითვლებოდა პარიზის განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარედ. ამიტომაც იყო, რომ ფრანგ კომუნისტთა ინიციატივით, ამ ოცი წლის წინათ, როცა დაისვა მუზეუმის გახსნის საკითხი და შეიქმნა სამუზეუმო კომიტეტი, ანდრე ტოლიე მის თავმჯდომარედ დანიშნეს.

და აი, ამ წლების მანძილზე იგი დაუღალავად ეძიებდა სამუზეუმო ფონდებს, არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირში. მან აქ მოიპოვა მრავალი საინტერესო დოკუმენტი, კერძოდ, საფრანგეთის განთავისუფლებაში საბჭოთა მოქალაქეების მონაწილეობის ამსახველი საარქივო მასალები, ტყვეობიდან გაქცეული ათასობით საბჭოთა ჯარისკაცი ხომ ფრანგ პატრიოტებთან ერთად თავდადებით იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. გადასცეს აგრეთვე მოსკოვის რადიოს მაგნიტოფონზე ჩანაწერები, რომლებსაც ოკუპაციის წლებში სპეციალურად საფრანგეთის რადიომსმენელებისთვის გადმოსცემდნენ ცნობილი ფრანგი მოღვაწეები, აუწყებდნენ თანამემამულეებს საფრანგეთის ბურჟუაზიის გამყიდველობას. საბჭოთა არმიის მიერ ნადავლად ჩაგდებულ გერმანულ სამხედრო მანქანებს შორის ნახულობდნენ ფრანგული წარმოების იარაღს, ტანკების ჯავშანზე წარწერილი იყო „სენ-შამონი“, „კრეზო“, ნაცისტების ჯარისკაცები სარგებლობდნენ საფრანგეთის ფირმის „პეჟოს“ გამოშვებული სატვირთო მანქანებით.

საბჭოთა ქვეყანაში მუზეუმის ექსპოზიციისათვის გადასცეს იმ თვითმფრინავების მაკეტები, რომლებითაც ფრენდნენ და ფაშისტებს ებრძოდნენ ფრანგი მფრინავები.

მთელი ოცი წლის განმავლობაში ფრანგი კომუნისტები მუზეუმისათვის აგროვებდნენ სახსრებს, ამ საქმეში დიდია გაზეთ „ლუმანიტეს“ დამსახურება. ამ შეგროვილი თანხებით და ქ. შამპინის მერის მხარდაჭერით, რომელიც კომუნისტი გახლავთ, შეისყიდეს შენობა მუზეუმისათვის, რომელიც თავად ვე შეაკეთეს. ფრანგ კომუნისტთა შვილები, მოსწავლეები, ახალგაზრდები აქ უსასყიდლოდ მუშაობდნენ. უვლიდნენ პარკს, რათა მუზეუმში მომსვლელთათვის აქაურობა საამო სანახავი გაეხადათ.



რაც შეეხება ექსპოზიციას, გვითხრა ანდრე ტოლიემ, მის შეგროვებაში ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. ზოგს არ სჯეროდა, რომ მუზეუმი შეიქმნებოდა და ამიტომ არ გვანდობდნენ მათთვის ძვირფას ნივთებსა და ფოტოდოკუმენტებს. მაგრამ შემდგომში თანდათანობით თავი მოვუყარეთ მეტად მნიშვნელოვან მასალებს, რომლებიც შუქს ფენს ფაშიზმის ბარბაროსობასა და ფრანგი ხლხის თავდადებულ ბრძოლას მის გასანადგურებლად.

პირველი დარბაზი ეთმობა საფრანგეთის ცხოვრებას ომამდე. ფოტოზე წარმოსახულია როგორი საზეიმო მარშით შემოდის ტრიუმფული თაღის ქვეშ პარიზში გერმანიის ფაშისტთა არმია, და პარიზელების რეაქცია, დაცარიელებული ქუჩები, დახურული დარაბები. გამოფენილია ფაშისტების მიერ გამოცემული პროპაგანდისტული მასალები, პლაკატები, რომლებიც ფრანგებს მოუწოდებდნენ წასულიყვნენ სამუშაოდ გერმანიაში. აი, გერმანელ ოკუპანტთა მიერ 1944 წლის თებერვალში გამოშვებული აფიშა მ. მანუშიანის ჯგუფზე — წითელ ფონზე წვეროსან, შავგვრემან ადამიანთა ფოტოსურათი, ოკუპანტებს სურდათ ფრანგ მოსახლეობაში შეეტანათ დეზორგანიზაცია, თითქოს პარტიზანულ მოძრაობაში ფრანგები კი არ იღებდნენ მონაწილეობას, არამედ უცხოეთიდან შემოსული „ბანდიტები“, როგორც მათ ჰიტლერელები ნათლავდნენ.

ანდრე ტოლიე დიდი სიყვარულით მოგვითხრობს საფრანგეთის ეროვნულ გმირზე კომუნისტ პოეტ მისაკ მანუშიანზე, რომლის ხელმძღვანელობით პარტიზანული რაზმი დიდ ზიანს აყენებდა ფაშისტებს. მის რაზმში, ფრანგებთან ერთად, იბრძოდნენ გერმანელთა ტყვეობიდან გაქცეული ესპანელები, იტალიელები, უნგრელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში ფაშისტებმა შეიპყრეს მანუშიანის ჯგუფი, 23 პატრიოტი სასტიკად აწამეს და დახვრიტეს, ფრანგი კომუნისტები დიდად აფასებენ მათ ხსოვნას. მანუშიანის ბიუსტი დაიდგმებაო მუზეუმში, — გვითხრა მუზეუმის დირექტორმა.

ექსპოზიციაში დიდი ადგილი ეთმობა გერმანელთა ოკუპაციის წლებში გამოსულ ფრანგულ არალეგალურ პრესას. გამოფენილია გაზეთ „ლუმანიტეს“ ის ნომრები, სადაც კომუნისტები სინამდვილეს განუმარტავდნენ ხალხს და მოუწოდებდნენ აქტიურად ჩაბმულიყვნენ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ექსპოზიციაშია ომისდროინდელი ველოსიპედები, რომლებითაც გადაჰქონდათ პროკლამაციები, საბეჭდი მანქანები, რადიომიმღებები, სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაღუპულ ფრანგ პატრიოტთა სურათები.

ვნახეთ „ლუმანიტეს“ 1943 წლის 20 სექტემბრის ნომერი, სადაც პირველად გამოქვეყნდა ფოტოსურათები გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებზე, მანამდე არავის არ ჰქონდა წარმოდგენა ამ საშინელებაზე.

გამოფენაზე დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე გერმანიაში ანტიფაშისტური მოძრაობის ამსახველ დოკუმენტურ მასალებს, აგვიხსნეს, რომ ისინი ამზადებენ და მალე ცალკე დარბაზი დაეთმობა ფაშიზმის განადგურებაში საბჭოთა ხალხის დამსახურების მაუწყებელ ფოტოდოკუმენტებს.

— მუზეუმის ძირითადი მიზანია, — გვითხრა დასასრულ ანდრე ტოლიემ, — სიმართლე ვუთხრათ ჩვენს ახალგაზრდობას ფაშიზმზე და იმ დიდ როლზე, რომელიც მის განადგურებაში შეასრულა კომუნისტურმა პარტიამ, ფრანგმა ხალხმა.

დაე, ჩვენი მუზეუმის მთლიანი ექსპოზიცია იყოს გაფრთხილება ყველასათვის, რომ აღარ დაუშვან ფაშიზმის აღორძინება, რომ აღარასოდეს განმეორდეს საძულველი ომი.

**ლარისა ხუბულური.**
პარიზი — თბილისი.

# სპორტული ზეიმის ღირსეული გვირგვინი



**ბოლო** ტურის წინ თბილისის ჯგუფში სიტუაცია ერთობ ჩახლართული იყო: ბრაზილიელებს არაბებთან ფრეც აძლევდათ ხელს; ფრე საუდის არაბეთის ნაკრებსაც უხსნიდა გზას მეოთხედფინალისკენ. მაგრამ თუ სამხრეთამერიკელები გაიმარჯვებდნენ, უკვე ესპანელებს უჩნდებოდათ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი (თუ, რა თქმა უნდა, ორი ბურთის სხვაობით დაამარცხებდნენ ირლანდიელებს). ერთი სიტყვით, ამდენ „თუს“ „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ სტადიონებზე უნდა დასმოდა წერტილი.

ცუდ დღეში აღმოჩნდნენ გულშემატკივრებიც, მაგრამ სხვა გზა არ იყო და, ზოგმა ბრაზილია-საუდის არაბეთის მატჩი არჩია, ზოგმა — ესპანეთ-ირლანდიის.

ესპანელებს ბრძოლის მეტი სტიმული ჰქონდათ, რაც პირველი წუთებიდანვე დაეტყო მატჩს: კარგა ხანს ირლანდიის ნაკრები მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდა; მესამე წუთზე ფერნანდომ ხელსაყრელ პოზიციაში მიიღო პასი და ზუსტი დარტყმით დააწინაურა თავისიანები — 1:0.

„ლოკომოტივის“ სტადიონიდან ჯერ არაფერი ისმის, იქ ისევ 0:0-ია. ესპანელები კი იერიშს განაგრძობენ. და აი, ოცდამეერთმეტე წუთზე ხუანმა-ლოსადას კომბინაციის შემდეგ, ირლანდიელთა კარში მეორე გოლი გადის — 2:0.

იმავე წუთს „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებს გადაუარა ცნობამ: ბრაზილიელმა მილერმა გოლი გაიტანა არაბების კარში. რამდენიმე წამის შემდეგ ეს ინფორმაცია ესპანელმა ჟურნალისტებმა მინდორზეც გაავრცელეს...

ყველაფერი როგორღაც იოლად წარიმართა ესპანელებისთვის, მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ სიხარული ნაადრევი იყო: ირლანდიელებს ფიქრადაც არ მოსვლიათ ფარ-ხმლის დაყრა — მეორე ტაიმი ათიოდე წუთის დაწყებული იყო და, მუნმა და კელიმ ორივე ბურთი გაქვითეს — 2:2.

... „ლოკომოტივის“ სტადიონზე ყველაფერი ძველებურადაა — ბრაზილია კვლავ წინ არის — 1:0...

ესპანელებს აშკარად დაეტყოთ დაღლა, მაგრამ როცა მეოთხედფინალის საგზურის ბედი წყდება, ალბათ, დაღლილობის დავიწყებაც შეიძლება.

ორმოცდამეთვრამეტე წუთზე ფერნანდოს დარტყმული ბურთი ძელს ხვდება. სამი წუთის შემდეგ დროის გაჭიანურებისთვის არბიტრი აჯარიმებს ირლანდიელებს, ისევ ფერნანდო და... 3:2. მატჩის დამთავრებამდე ოცდაათი წუთია, ესპანელებს კი ერთი, ერთადერთი გოლიღა სჭირდებათ.

...სამოცდამეთერთმეტე წუთი. „ლოკომოტივის“ სტადიონზე ბრაზილიელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო.

თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ესპანელი ფრანსისი ორჯერ ჰკარგავს გოლის გატანის შესაძლებლობას.

ოთხმოცდამეხუთე წუთი. „ლოკომოტივზე“ ანგარიში უცვლელია, „დინამოზე“ კი ესპანელმა ფეხბურთელებმა ნამდვილი ზეიმი გამართეს — ლოსადას ძლიერი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 4:2!..

უკანასკნელმა ხუთმა წუთმა დაძაბულ მოლოდინში განვლო. თბილისის ორივე სტადიონზე ახალი არაფერი მომხდარა და მეოთხედფინალის მეორე საგზურს ესპანელები დაეუფლნენ.

**ი. ბერიაშვილი.**

**მატჩის შემდეგ სახელდახელო ინტერვიუ ვთხოვეთ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს ხესუს მარია პერედას:**

● **ფეხბურთის გულშემატკივართა და სპეციალისტთა დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ბრაზილია-საუდის არაბეთის მატჩი ფრედ დამთავრდებოდა და ესპანეთისა და ირლანდიის ნაკრები გუნდები „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ...**

— რა დაგიმალოთ და, მეც ასე მეგონა. თუმცა, რასაც უნდა გიქადდეს ბედი, მარცხს მაინც ვერ შეეგუები კაცი. გარდა იმისა, რომ ბრაზილიელები ფეხბურთის ვირტუოზები არიან, თავიანთი კეთილსინდისიერებითაც გვხიბლავენ. მიხარია, რომ სამხრეთამერიკელებმა დღესაც ნამუსიანად ითამაშეს და მეორე მეოთხედფინალისტის საგზურის ბედი არაბებთან ერთად ერთპიროვნულად არ გადაწყვიტეს.

● **პირველი ორი მატჩის შემდეგ თქვენ უკმაყოფილო იყავით. დღეს?**

— წინა მატჩების პირველ ნახევარში არა გვიშავდა, მეორე ტაიმში კი აშკარად ჩამოვრჩებოდით მეტოქეს. დღევანდელი შეხვედრით კმაყოფილი ვარ — თითოეულმა ფეხბურთელმა პირნათლად შეასრულა დავალება. კარგად ითამაშა გოიკოეჩეამ, მაგრამ შევცვალე მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანსისი პირველი დივიზიონის ფეხბურთელია, მეტი გამოცდილება აქვს და მატჩის მიწურულს ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

● **ვინ მიგაჩნიათ თბილისის ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ?**

— ესპანელი ფერნანდო.

● **თბილისის ჯგუფში ორ-ორი გოლი გაიტანეს ლოსადამ, ბალალომ და ფერნანდომ. ქართული სპორტული გაზეთის „ლელოს“ პრიზი „ბროლის ბურთი“ გადაეცა ლოსადას, ავტორს იმ გოლისა, რომელმაც მეოთხედფინალის საგზური მოუტანა ესპანეთის ნაკრებს. რას გვეტყვით ამ ფეხბურთელზე?**

— 17 წლის სებასტიან ლოსადა ბესტარდი მადრიდის „რეალში“ თამაშობს და კარგი მომავალიც აქვს. მალე ესპანეთის ნაკრები მშვენიერ ცენტრალურ თავდამსხმელს შეიძენს მისი სახით.

**ბრაზილიისა** და საუდის არაბეთის გუნდების მატჩს ერთ-ერთი მომენტი.
ვ. ბუნბიურის ფოტო.

**დანარჩენი შეხვედრები:**

უნგრეთი-ბულგარეთი — 1:1, კოლუმბია-ტუნისი — 2:1; საბჭოთა კავშირი-კანადა — 5:0, ავსტრალია-ნიგერია — 2:2, ინგლისი-მექსიკა — 0:1, პარაგვაი-ჩინეთი — 1:2.

**საბოლოო ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„ა“ ჯგუფი** | | | | | | |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 4 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 4 |
| ტუნისი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| **„ბ“ ჯგუფი** | | | | | | |
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| საუდის არაბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 3 |
| ირლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |
| **„ც“ ჯგუფი** | | | | | | |
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 5 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| კანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |
| **„დ“ ჯგუფი** | | | | | | |
| მექსიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 4 |
| პარაგვაი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| ინგლისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

ამრიგად, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს პირველ-მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა (კოლუმბიის ნაკრებმა წილისყრით დაიმსახურა იგი).

მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 1 სექტემბერს. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ერევანი — **ბულგარეთი-ესპანეთი**, თბილისი — **ბრაზილია-კოლუმბია**, მინსკი — **სსრ კავშირი-ჩინეთი**, ბაქო — **მექსიკა-ნიგერია**.

# ინფორმაცია — 85 ● ინფორმაცია — 85

## ღვაწლის უკვდავყოფა

**დიდძალმა** ხალხმა მოიყარა თავი წყალტუბოს ზონის სოფელ რიონში, რათა ყვავილებით შეემკო სახელგანთქმული მესხების საგვარეულო სასაფლაო. ძველ ობელისკთან შეკრებილებმა დიდი პატივი მიაგეს ილიას და აკაკის თანამებრძოლს, ქართული ჟურნალისტიკის მესაძირკვლეს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს სერგი მესხს.

ს. მესხმა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია საყვარელ საქმეს მოახმარა. მიუხედავად იმისა, რომ მან 38 წლისამ დაასრულა სიცოცხლე, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დააჩნია ქართულ პუბლიცისტიკას.

ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ საზეიმოდ ჩაეყარა საძირკველი დიდი საზოგადო მოღვაწის ძეგლს.

**გ. მეფისაშვილი.**

## ჯანმრთელნი რომ იყვნენ

**მახარაძე. (საკ. კორ.).** პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა პედიატრიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მოეწყო საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო და სანჰიგიენის ფაკულტეტების ბავშვთა სნეულებათა კათედრის, საზოგადოება „ცოდნისა“ და მახარაძის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ერთობლივი ინიციატივით.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ირაკლი ფალავამ.

კონფერენციაზე გამოსულებმა მახარაძის რაიონის მთავარმა ექიმმა ქ. ცეცხლაძემ, დოცენტმა ნ. მანჯგალაძემ, ბავშვთა სნეულებათა კათედრის ასისტენტმა ა. რეჟაძემ, მახარაძის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა რ. ღლონტმა, დოცენტებმა ი. მჭედლიშვილმა, ნ. დაფქვიაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

## სიმღერა — სულის ნაწილი

**თუკი** რომელიმე სიმღერა ჩვენი სულის თანამგზავრი გამხდარა, დაგვეთანხმებით, მათ შორის „საქართველოო ლამაზოც“ არის. ანა კალანდაძის შესანიშნავ ლექსს არანაკლები ჰანგი მოუძებნა თეიმურაზ ნაცვლიშვილმა. და ჩაგვესმის გიტარაზე აჟღერებული „ქარი გიმღერის ნანასა“ აგერ, ამდენი ხანია, ეს სიმღერა ყველა თაობას ერთნაირი სიყვარულით უყვარს, მაგრამ სულ სხვაა იგი ორმოცდაათიანი წლების თბილისელი ქალ-ვაჟებისათვის, რომელთა წრეშიც ასე გამოირჩეოდა ახალგაზრდა ჟურნალისტი თ. ნაცვლიშვილი.

გავიდა დრო, თ. ნაცვლიშვილი დღეს ცნობილი ტელეჟურნალისტია, მაგრამ, ბუნებრივია, ქართული ჰანგის სიყვარული დაჰყვება თან და სწორედ ამ სიყვარულის ნაყოფია სიმღერები: „წვიმს“ (ლექსი მ. მაჭავარიანისა), „ყაყაჩო“ (ლექსი ა. კალანდაძისა), „ბეღურა“ (ლექსი ნ. კილასონიასი) და სხვები.

ერთად თავმოყრილი ეს სიმღერები ახლახან გამოუშვა ფირმა „მელოდიამ“ და ამით, რა თქმა უნდა, კარგი საჩუქარი მოუმზადა ქართული საესტრადო სიმღერების მოყვარულთ.

**ვ. მაღლაკელიძე.**

## სტუმრად მწყემსებთან

**საჩხერე. (საკ. კორ).** საჩხერის რაიონის მეცხოველეები მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგანან. ახლა, როცა პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზეა, სწორედ მათს მუხლჩაუხრელ შრომაზეა დამოკიდებული ზეგეგმითი ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება. ოჯახის სითბოს მოკლებულ მწყემსებს მხარში ამოდგომა, ერთფეროვანი დღეების მეტი შინაარსით შევსება სჭირდებათ.

საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ და სარაიონო კულტურის სახლმა დროულად იზრუნეს იმისათვის, რომ მწყემსებთან მათი ტრადიციული სტუმრობა განსაკუთრებით შთამბეჭდავი ყოფილიყო წელს. დაკონკრეტდა ლექტორთა ჯგუფის შემადგენლობა, გადახალისდა აგიტმხატვრულ ბრიგადათა პროგრამებიც. და ჯალაურთის, საირხის, ქორეთის კოლმეურნეობებისა და საჩხერის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მუშაკებმაც ინტერესით მოისმინეს შინაარსიანი ლექციები, კონცერტები.

გასვლითი ღონისძიებები კვლავაც გრძელდება.

**ჰ. შარიქაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

**კომუნისტი**

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:**

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

**რედაქცია:**

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10; განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46; მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01; ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-30, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

**საკორესპონდენტო პუნქტები:**

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 3-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-33.

## სასამართლო დარბაზიდან

# ალალი ლუკმა შრომით მოიპოვება

**საგამოძიებო** დასკვნასა და სასამართლო საქმეში როლანდ ტარასის ძე ბაქანიძე მიჩნეულია როგორც მუდმივი საცხოვრებელი ადგილის უქონელი. უჭერო კაცი ძნელი წარმოსადგენია, თუმცა გიამბობთ, თუ როგორ დაემართა ეს ამბავი როლანდს.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში დაიბადა, შემდეგ მშობლებთან ერთად ბათუმში ცხოვრობდა, თავისი კუთხე-კარიც ჰქონდა და კაცად ითვლებოდა. მაგრამ აი დაოჯახდა, 1970 წელს ცოლად შეირთო ალა ფასტუნოვა, რომელთანაც ორი ქალიშვილი შეეძინა. ერთხანს ცხოვრობდნენ ბათუმში, მშობლებთან. მერე ცოლმა თავის სამშობლოში ვოლგოგრადის ოლქის პოდტელკოვკის რაიონის სოფელ კუმილოჩენსკაიაში წასვლა აიჩემა, წავიდა და იქ დარჩა საცხოვრებლად.

ბაქანიძემ ცოლ-შვილს ჩააკითხა. აქედან დაიწყო აგორებულ ქვასავით მისი ხეტიალი. ერთხანს ცოლ-შვილთან ცხოვრობდა ქალაქ მიხაილოვკაში. ერთი წლის მერე გაშორდა მეუღლეს და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

მოსკოვის ოლქის პოდოლსკის რაიონის სოფელ „ოკტიაბრსკაია ზნამიაში“ გაიცნო ლუბა ოვსიანიკოვა, ახლა იმას დაუკავშირა თავისი ბედი. იქორწინა და ახალი მეუღლის ბინაში ჩაეწერა პოდოლსკის რაიონში.

არც ახალ ოჯახში გამოუჩენია თავი გარჯილობის მოყვარულობით. წამოშუავა ცოტა. 1981 წლის მარტიდან პირველ ივნისამდე მოსკოვის ოლქის ქალაქ ვიდნოეში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში „შრომობდა“. მერე თავი დაანება. „თავისუფლება“, აღმა-დაღმა სიარული ირჩია.

ერთხელ, მოსკოვში ხეტიალის დროს შეიტყო, რომ თბილისის მაღაზიებში თურმე მამაკაცის იაფფასიანი ბამბის მაისურები იყიდებოდა, ისეთი, როგორიც პოდოლსკის რაიონში დეფიციტურ საქონლად ითვლებოდა.

გლეხისა და ქილა ერბოს იგავისა არ იყოს, როლანდს თავში გაუელვა უეცარი გამდიდრების ფიქრმა. გაფიქრებისთანავე გადაწყვიტა საქმეს შესდგომოდა. ეს იყო შარშან 8 სექტემბერს, დილით ჩაჯდა თვითმფრინავში და თბილისში ჩამოვიდა. ბავშვთა სამყაროში შეიხედა. სწორედ აქ დახვდა ნანატრი მაისურები. უმალვე 270 ცალი შეიძინა, მუყაოს ოთხ ყუთში ჩააწყო და რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანს მიაბარა.

ის იყო შეძენილი საქონელი თბილის-მოსკოვის მატარებლის გამყოლისათვის უნდა გადაეცა, რათა თავად თვითმფრინავით თავისუფლად ემგზავრა, მაგრამ სწორედ ამ დროს იგი თბილისის რკინიგზის სადგურში მილიციის მუშაკებმა დააკავეს. საქმე შედგა და სასამართლოს გადაეცა.

სასამართლოზე თავის დაძვრენის მიზნით როლანდ ბაქანიძემ უარყო წაყენებული ბრალდება და გამოძიების დროს აღიარებული დანაშაული, მაისურების შეძენის მიზეზის რამდენიმე ვერსია შეთხზა, მაგრამ აღარ დაუჯერეს. დაუმტკიცეს, რომ მას იგი სასპეკულაციოდ ჰქონდა შეძენილი, რომ ამ გზით 609 მანეთის მოგებას აპირებდა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ იგი წინათ არ ყოფილა ნასამართლევი, ჰყავდა ცოლ-შვილი და ამიტომ მიუსაჯა მხოლოდ 4 წლის თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში მოხდა.

იოლი გზით გამდიდრება არც ზღაპრად ახდენია კაცს და არც ცხადად. ალალი ლუკმა შრომით მოიპოვება.

**ნ. ნუცუბიძე.**

# „უნიტანი“ ყველას უღიმის

UNIVERSIADE KOBE'85

**ასე** ჰქვია უნივერსიადის ოფიციალურ სიმბოლოს — სიმპათიურ პატარა წეროს, რომელსაც, იაპონელთა აზრით, ბედნიერება მოაქვს. ამიტომაც არის, რომ ყველა მას ეტანება, სპორტსმენებმა კი თილისმად იგულეს და ხშირადაც იღებენ მასთან ფოტოს, თუმცა ყველას ერთნაირად როდი უღიმის ბედი.

20 წლის როსტოველ ნ. იურჩენკოს კი სასაყვედურო ნამდვილად არაფერი აქვს. გუნდურ და პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულმა კიდევ ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში.

თანაგუნდელის ოქროს მედლით გაიხარეს ჩვენმა მოფარიკავეებმაც. ლვოველმა სერგი მინდირგასოვმა მოხმალავეთა ასპარეზობის ფინალში ანგარიშით 10:4 დაამარცხა უნგრელი მსოფლიო ექსჩემპიონი ლ. ჩონგრადი. მესამე ადგილიც ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, ბულგარელ ვ. ეტროპოლსკის დარჩა. ოქროს მედლის დაუფლების კარგი შანსი ჰქონდა საბჭოთა რაპირისტ ქალს ო. ვოშჩაკინას, მაგრამ ჩინელ ოლიმპიურ ჩემპიონთან ჩჟუ ლუანთან კარგად დაწყებულ ფინალურ ორთაბრძოლაში ბოლომდე ვერ შეინარჩუნა უპირატესობა, დამატებით დროში დამარცხდა კიდეც და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი მისსავე თანაგუნდელს მ. სობოლევას გადაეცა.

ტრამპლინიდან წყალხტომაში ყველას აჯობა კიეველმა ჟანა ცირულნიკოვამ — 522,27 ქულა. ქალთა შორის ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში მოსკოველმა ლ. მორევამ ვერცხლის მედალი მოიპოვა (1 წუთი და 12,24 წამი), ოქროსას კი (მეორეს ამ უნივერსიადაზე) ბულგარელი ტ. ბოგომილოვა დაეუფლა. ამავე სტილით ვაჟთა შორის 200 მეტრზე ცურვაში ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა მოსკოველი დ. კუზმინი — 2.19,81.

ქვეჯგუფის მორიგ შეხვედრაში ჩინეთის გუნდთან ანგარიშით 8:3 გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა. გამარჯვებულთაგან ორი გოლი გაიტანა გ. მშვენიერაძემ, ერთი — დ. გვახარიამ.

# სატურნირო ორბიტა

**ველოსპორტი.** საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა (ვ. ჟდანოვი, ა. ზინოვიევი, ვ. კლიმოვი და ი. სუმნიკოვი) შედეგით — 1 საათი და 51,09 წამი გაიმარჯვა იტალიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში (საშუალო სიჩქარე — 53, 729 კმ საათში). ვერცხლის მედლები ჩეხოსლოვაკიელმა მრბოლელებმა მოიპოვეს, ბრინჯაოსი — იტალიელებმა.

**ძალოსნობა.** სედერტელში (შვეცია) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში 82,5 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლენინაკანელმა ი. ვარდანიანმა ორჭიდის ჯამით — 397,5 კგ (117,5+220) მეშვიდედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. ვერცხლის მედალი შედეგით — 392,5 ბულგარელ ოლიმპიურ ჩემპიონს ა. ზლატევს ერგო, ბრინჯაოსი — უნგრელ ლ. კირალის (375 კგ.).

**ფეხბურთი.** რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ამ ქვეყნის ნაკრებსა და ფინეთის გუნდს შორის დამთავრდა ანგარიშით 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

**ჩვენი** ქვეყნის ნაკრები გუნდის მეტოქემ ევროპის მეექვსე შესარჩევ ქვეჯგუფში, შვეიცარიის ნაკრებმა ფრედ — 0:0 დაასრულა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თურქეთის ნაკრებთან.

## ჩვენს ტელეეკრანებზე

**მოსკოვი**

30 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მულტფილმები. 10.20 — კონცერტი. 10.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.15 — „გობისა და ხინგანის გაღმით“. მეორე სერია. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.40 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი. 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — რუსული მეტყველება. 17.55 — „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე. 18.40 — ვიეტნამელ ოსტატთა ხელოვნება. 19.15 — ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. 19.30 — სვერდლოვსკის ბავშვთა ფილარმონიის სოლისტების გამოსვლა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „თანამეგობრობა“. 20.35 — სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავისათვის. 21.15 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კინოპანორამა. 0.05 — დღეს მსოფლიოში. 0.20 — მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.45 — მხატვრული ფილმი. 11.00 — მოსწავლეთა შეხვედრა ტრანსპლანტოლოგიისა და ხელოვნური ორგანოების ინსტიტუტის დირექტორთან ვ. ი. შუმაკოვთან. 11.45 — ერთი მსახიობის თეატრი. ვ. იახონტოვი კითხულობს ა. ს. პუშკინს. 12.45 — მხატვრული ტელეფილმი „გაფიცული სიცილი“. პირველი და მეორე სერია. 15.00 — ინგლისური ენა. 15.30 — პოეზია. ო. ფოკინა. 16.00 — კონცერტი. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მუსიკალური კიოსკი. 19.45 — მოგზაურთა კლუბი. 20.45 — ხალხური მელოდიები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — საჭადრაკო სკოლა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „კარელ გოტი „ლიუცერნის“ საკონცერტო დარბაზში“ (ჩეხოსლოვაკია). 21.40 — ახალი ამბები.

**თბილისი**

30 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „მოამბე“. 10.05 — დოკუმენტური ფილმი. 10.25 — „არდადეგები, არდადეგები“... სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციცკარა“. მხატვრული ფილმი „სოფლის მასწავლებელი“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 16.40 — დოკუმენტური ფილმი „წყლის ტრანსპორტი სამოქალაქო თავდაცვის ინტერესებისათვის“. 17.00 — „კვალი ნათელი“. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შალვა ნუცუბიძე“. 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.30 — „ეგ, რე, მი“. 18.05 — ხალხური შემოქმედება — „გვაქვს უთვალავი ფერითა“. 18.45 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“. 19.15 — „ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ“. სტუდიაშია სსრ კავშირის განათლების მინისტრი ს. შჩერბაკოვი (მ.) 19.30 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ფეხბურთი. ბრაზილია-საუდის არაბეთი. (29 აგვისტოს შეხვედრის ვიდეოჩანაწერი). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ჩვენნაირები“. 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირველად ესტრადაზე“. 17.50 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოულოდნელი ზაფხული“.

## გასწორება

**სახსრომემსალაროების** საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო იტყობინება, რომ საქართველოს სსრ ფულის ნივთების 1985 წლის მეშვიდე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟის ოფიციალურ ცხრილში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 29 აგვისტოს ნომერში, ლატარიის ბილეთი 27162 205*) მოგება ასი ლატარიის ბილეთი — 30-ის ნაცვლად უნდა იყოს 27162 205*) მოგება ასი ლატარიის ბილეთი — 80.

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილი.